პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური მიმწერი

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია: თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული. რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე. ტელეფ.: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა: თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81. ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ. საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში — 80 კაპ., ტექსტის შიგნით — 1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ. — 1 მ. 50 კაპ., ტექსტში — 3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად — შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები — 15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 30 ნოემბერი 1929 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 276 (2622)

## დღიური

— სისხლისმღვრელი შეტაკება მუშებსა და ფაშისტებს შორის ავსტრიაში
— დასავლეთ უკრაინის მშრომელთა პროტესტი ანტისაბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ
— „ტაიმსი“-ს გადმოცემით დღით-დღე მოელიან კანტონის აღებას ფინ-იუი-სიანის ჯარების მიერ
— საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ინგლისის მუშათა დელეგაციის განცხადება
— ინგლისური პრესის აზრი ამხ. სოკოლნიკოვის დანიშვნის შესახებ საბჭოთა ელჩად ინგლისში
— ა.-კ. საფეიქრო მრეწველობის გამოკვლევის შედეგები

შაბათს, ა. წ. ნოემბრის 30-ს, საღამოს 6 საათზე შესდგება

### ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი ს. თოდრია.

# ფართოდ გავშალოთ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა

ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის ზრდის დაჩქარება, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით დაყენებით მოითხოვენ კოლმეურნეობათა მშენებლობის გაშლასთან ერთად, საბჭოთა მეურნეობებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას.

ჩვენში საბჭოთა მეურნეობების განვითარებისათვის არსებული ხელსაყრელი პირობები ნაკლებადაა გამოყენებული. 21 მეურნეობა (1.213.680 ჰექტარზე), რომლებსაც საბჭოთა მეურნეობების ტრესტი აერთიანებს, და ადგილობრივი მნიშვნელობის 20 წვრილი საბჭოთა მეურნეობა (452.891 ჰექტარზე) ოდნავადაც არ აკმაყოფილებენ საბჭოთა მეურნეობებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მეურნეობებს შორის, როგორც მიწის ფართობით, ისე პროდუქციის ოდენობით, ყველაზე უფრო ძლიერია მევენახეობა - მეღვინეობის დარგი. ამ უკანასკნელს, რა თქმა უნდა, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაუთმოთ, — ამას გვიკარნახებს, სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ექსპორტის ინტერესები, — მაგრამ ჩვენ ამავე დროს ხელი უნდა მივყოთ სხვა დარგების საბჭოთა მეურნეობების ფართე მასშტაბით ორგანიზაციას.

ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყანა პურეულის ქრონიკულ დეფიციტს განიცდის: ყოველწლიურად საშუალოდ ათი მილიონი ფუთი პურეულის შემოზიდვა გვიხდება. ამ დეფიციტის შესანელებლად, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ჩვენ აუცილებლად უნდა მოვაწყოთ პურეულის მსხვილი საბჭოთა მეურნეობები, პურეულის დიდი ფაბრიკები, რომელთა საშუალებით სახელმწიფო პურეულის მნიშვნელოვან მარაგს მოაგროვებს. ამისათვის ჩვენ შეგვიძლია მიწის შედარებით თვალსაჩინო ფართობის გამოყოფა არსებული ფონდებიდან და აგრეთვე მელიორაციის გზით მიღებულ გამოსადეგ მიწებიდან.

შემდეგ მესაქონლეობა. ჩვენი ქალაქების მოსახლეობა რძის პროდუქტებით, როგორც ვიცით, არ არის უზრუნველყოფილი. მიწად-მოქმედების კომისარიატის სარძევე ფირმების პროდუქცია წვეთია ზღვაში. ჩვენ უახლოეს მომავალში უნდა გავაძლიეროთ ეს ფერმები და გავაფართოოთ მათი ქსელი, ერთი სიტყვით, შევქმნათ მეწველი მესაქონლეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობანი. ასევე ითქმის მეღორეობაზე, რომელიც ჩვენში ერთ-ერთ უმთავრეს სახორცე მასალას იძლევა. უდიდესი ყურადღების ღირსია აგრეთვე მეფრინველეობა. გიგანტ—ინკუბატორების მოწყობით მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებში და სხვა ტექნიკურ ღონისძიებების გატარებით ჩვენ საკმაო რაოდენობის კვერცხსა და ფრინველის ხორცს მივაწვდით ქალაქებს.

შემდეგ, მებოსტნეობა ჩვენში ფართოდ არ არის განვითარებული, თუმცა ამ მხრივ სათანადო პირობები არსებობს. ქალაქების ახლო-მახლო უქმად მდებარე მიწები უნდა გამოვიყენოთ ამ მიზნით და იქ მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობები შევქმნათ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ტექნიკური კულტურები. მათ შორის ჩაის საბჭოთა მეურნეობის განვითარება უკვე მყარ ნიადაგზეა დაყენებული და მის გასაფართოვებლად გადადგმულია სათანადო ნაბიჯები. მაგრამ დანარჩენ ტექნიკურ კულტურების დარგში საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბება მხოლოდ ახლა იწყება. ეს ითქმის კერძოდ ბამბაზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საფეიქრო მრეწველობისათვის ნედლეულის საკუთარი ბაზის შესაქმნელად. ამიტომ ბამბის საბჭოთა მეურნეობების საჩქაროდ მოწყობას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს.

მრავალია ისეთი დარგი სასოფლო-მეურნეობაში, სადაც მოსახერხებელია და საჭირო საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია. ამ გზით ჩვენ გარდატეხას მოვახდენთ მშრომელთა კვების და მათი გაჯანსაღების საქმეში, შევქმნით ნედლეულს ჩვენი მრეწველობისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობით დავამზადებთ საექსპორტო საგნებს.

მაგრამ საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობა ამით როდი ამოიწურება. ისინი მსხვილი სოციალისტური მეურნეობის ნიმუშებია სოფლად. მათი საშუალებით პროლეტარული სახელმწიფო აძლიერებს თავის გავლენას გლეხურ მეურნეობაზე — მისი საწარმოო ძალების გაშლის და სოციალისტური გარდაქმნის მიმართულებით. მსხვილი საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენენ ცენტრებს, რომლებიც ხელს უწყობენ ინდივიდუალურ მეურნეობათა გაერთიანებას. მათ შეაქვთ ახლო-მახლო მდებარე გლეხურ მეურნეობებში მაღალი ტექნიკა და აგრონომიული ცოდნა. რა თქმა უნდა, ეს თავის თავად არ ხდება. ამისათვის საჭიროა საბჭოთა მეურნეობანი საწარმოო საფუძველზე მჭიდროდ დაუახლოვდნენ გლეხებს, დაეხმარონ მათ, აწარმოონ მათ შორის სიტყვიერი და საქმიანი პროპაგანდა მათი მეურნეობების რაციონალურ ნიადაგზე დასაყენებლად.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა შეამცირებს უმუშევრობას, რომელიც ასე საგრძნობია სოფლად, მოსახლეობის აგრარული სიჭარბისა და სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის გამო. საბჭოთა მეურნეობებში მუშების საგრძნობი რიცხვი იქნება დაბანდებული.

ყოველივე ეს ჩვენს წინაშე აყენებს არსებულ საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება - გაფართოების და ახლების ორგანიზაციის ამოცანას. ამ ამოცანის გადასაჭრელად, ცხადია, დიდი წინასწარი მუშაობის ჩატარება დაგვჭირდება, როგორიცაა მიწების გამოყოფა და მათი შერჩევა სხვადასხვა დარგებისათვის, საბჭოთა მეურნეობების მომარაგება იარაღ - მანქანებით, საქონლის შეძენა, საძოვრების და საკვების საკითხის მოგვარება, სპეციალისტთა კადრების მომზადება და სხვ. ამასთან, თავის თავად იგულისხმება, რომ ამ სამუშაოების შესრულება გულისხმობს დიდძალ თანხების გაღებას, მაგრამ თუ ჩვენ საჭირო უნარს და ენერგიას გამოვიჩენთ, ამ სიძნელეებს გადავლახავთ.

რა თქმა უნდა, საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის წარმოება შეიძლება მხოლოდ დაწვრილებით გამომუშავებულ გეგმის საფუძველზე და დაინტერესებულ ორგანიზაციების შეთანხმებულ საქმიანობის პირობებში. დღემდე კი ჩვენ ისეთი მდგომარეობა გვქონდა, რომ სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციები თითქმის დამოუკიდებლად კიდებდნენ ხელს საბჭოთა მეურნეობების მოწყობას, ამასთან მათი მუშაობა არ იყო სათანადოდ შეფარდებული, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ერთიან გეგმასთან. ასეთ არეულობას ბოლო უნდა მოეღოს და უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის მტკიცე და მთლიანი ხელმძღვანელობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საბჭოთა მეურნეობების განვითარების ჩაყენება საჭირო კალაპოტში და მათი როლის გადიდება სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.

# ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გამოძახილი

## მსოფლიო პრესა აღნიშნავს საბჭოთა კავშირის უდიდეს გამარჯვებას

### მანჯურიის ჯარში დაიწყო აჯანყება. — ხარბინში გამოცხადებულია სამხედრო წესები

## ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გარშემო

**რას ამბობენ გერმანიაში**

ბერლინი, 28 ნოემბერი. დემოკრატიული პარტიის ორგანო „ბერლინერ ტაგებლატ“-ი აღნიშნავს, რომ ჩინეთის კაპიტულაცია საბჭოთა მთავრობის მტკიცე პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს. „ამ უსამართლობის წინაშე, რომელიც საბჭოთა კავშირს ჩინეთმა მიაყენა, — სწერს გაზეთი, — საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებმა გვიჩვენეს სახელმწიფოებრივი სიბრძნის ნიმუში — მათ გამოიჩინეს თავდაჭერილობა, რამაც საშუალება მისცა მათ ბოლომდე დაეცვათ თავიანთი პირველი გადაწყვეტილება“ (ადს).

ბერლინი, 28 ნოემბერი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ერთსულოვნად აღნიშნავენ საბჭოთა თვალსაზრისის სრულ გამარჯვებას კონფლიქტში და ესალმებიან ომის საფრთხის თავიდან აცილებას.

ამასთან პოლიტიკურ წრეებში ერთგვარ შიშს გამოსთქვამენ, რადგან ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ ჩინეთის დიპლომატიამ არაერთხელ მიმართა ორაზროვან მეთოდებს და საშუალებებს (ადს).

**„ფორვერტს“-ი უშენიშვნოდ იწონებს**

ბერლინი, 28 ნოემბერი. „ფორვერტს“-ი უშენიშვნოდ იწონებს ჩინეთის განზრახვას — მიმართოს სახელმწიფოებს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის გამო. (ადს).

**საფრანგეთის პრესის აზრი**

პარიზი, 28 ნოემბერი. მთელი საფრანგეთის პრესა თვალსაჩინო ადგილზე ათავსებს საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობას მუკდენის მთავრობის თანხმობის შესახებ — დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ პირობათა საფუძველზე. პრესის ყველა გამოსვლაში წითელი ზოლივით გატარებულია ის აზრი, რომ სახელმწიფოების რაიმე ჩარევა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში სრულებით განუხორციელებელია. მიუხედავად ამისა, დეპეშის ოფიციალურ კომენტარიებში ამავე დროს აცხადებენ:

„არ შეიძლება ნანკინის მთავრობის წარმომადგენელთა გამოსვლის სრულიად უპასუხოდ დატოვება, ვინაიდან ამ გამოსვლებისადმი უყურადღებობა მორალური ზიანი იქნებოდა კელოგის პაქტისათვის“-ო.

ამავე დროს გაზეთები იმეორებენ „ჟურნალ დე დება“-ს იმ დასკვნას, რომ თუ ჩინეთს სურს სახელმწიფოების დახმარება, იგი დათმობაზე უნდა წავიდეს უთანასწორო ხელშეკრულებათა საკითხში. (ადს).

**„ტან“-ი ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის შესახებ**

პარიზი, 28 ნოემბერი. მოწინავე წერილში, რომელიც ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტს შეეხება, „ტან“-ი მთელ ოფიციოზურ პრესასთან ერთად იძულებულია დიდის გაბოროტებით აღნიშნოს, რომ რეალურად შეუძლებელია ერთა ლიგისა და კელოგის პაქტის მონაწილეთა ჩარევა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტში საბჭოთა კავშირზე რაიმე ზეგავლენის მოსახდენად.

„უნდა იმედი ვიქონიოთ, — სწერს გაზეთი, — რომ უშუალო მოლაპარაკება მოსკოვსა და მუკდენს შორის, რაზედაც უკანასკნელი დასთანხმდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე სტატუს-ქვოს აღდგენის საფუძველზე, შეაჩერებს სამხედრო მოქმედების შემდგომ განვითარებას“. (ადს).

**„ჟურნალ დე დება“-ს აზრი**

პარიზი, 28 ნოემბერი. „ჟურნალ დე დება“-ს აზრით, ნანკინის მთავრობის მიმართვა ერთა ლიგისადმი უმიზნო იქნება, ვინაიდან ლიგას არ შეუძლია უბრძანოს საბჭოთა კავშირს, რომელიც მისი წევრი არ არის. მას აგრეთვე არ შეუძლია გაგზავნოს საგამომძიებლო კომისია ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე. (ადს).

**საფრანგეთის პროლეტარიატის სოლიდარობა**

პარიზი, 28 ნოემბერი. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი „ევრ“-ი აცხადებს, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებით მუკდენმა დაარღვია თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი, რომლებიც მარტო საბჭოთა ინტერესებს არ ეხებოდნენ. გაზეთი უარყოფს ომის არსებობას ჩინეთ-საბჭოთა საზღვარზე.

„ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ის მომაკვდინებელი ლახვარი, რომელიც წითელმა არმიამ ჩასცა ჩინელ გენერლებსა და რუს თეთრგვარდიელებს, იყო აუცილებლად საჭირო კანონიერი პასუხი განუწყვეტელი პროვოკაციის, ძალადობისა და საბჭოთა ტერიტორიაზე თავდასხმების სამაგიეროდ.

„ლუმანიტე“ უპასუხებს რეფორმისტული „პეპლ“-ის წერილს და ახასიათებს ამ წერილს, როგორც რეფორმისტების უშუალო მიმართვას იმპერიალისტებისადმი — აშკარად ჩაერიონ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში.

„ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი სრულ სოლიდარობას უცხადებს წითელი არმიის ყოველ ნაბიჯს. (ადს).

**ამერიკულ გაზეთების წერილი**

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. „ნიუ-იორკ ტაიმს“-ი სწერს:

„საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩინელებმა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა ხელში ჩაიგდეს იმ იმედით, რომ სხვა სახელმწიფოები მოიწონებდნენ ამას. იყო ამის ცდები, რომ რუსეთი თავდამსხმელ მხარედ გამოეცხადებინათ. რუსეთი რამდენიმე თვის განმავლობაში თავს იკავებდა და საქმეა ახლა მან რკინის გზის ძალით ხელში ჩაგდებით საერთაშორისო გაკიცხვა გამოიწვიოს“.

ამავე აზრს გამოსთქვამენ „ჰერალდ ენდ ტრიბუნ“-ი და „ნიუ-იორკ პოსტ“-ი. (ადს).

**გომინის სააგენტოს მორიგი ჭორი**

შანხაი, 28 ნოემბერი. ნანკინის მთავრობის ოფიციოზი — გომინის სააგენტო ბერლინიდან იუწყება, რომ გერმანიის ელჩმა მოსკოვში საბჭოთა მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიაც წინადადებას იძლევა, რომ შემდგომი შეტაკებების თავიდან აცილების მიზნით ორივე მხარემ საზღვრიდან 30 მილით დასწიოს უკან თავისი ჯარი. იმავე ნოტაში ნანკინის მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზად არის საბჭოთა კავშირთან წამოჭრილი კონფლიქტის მოსაგვარებლად გადასცეს მესამე მიუდგომელ მხარეს, იმ მიზნით, რომ კონფლიქტი მოგვარებულ იქნას კელოგის პაქტთან შეფარდებით.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს შენიშვნა: ავტორიტეტულ წრეებში მიღებული ცნობებით, გომინის სააგენტოს ზემოთმოყვანილი ცნობა ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს. (ადს).

**თხოვნა, რომელსაც არავინ არ აქცევს ყურადღებას**

ლონდონი, 28 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ში მოთავსებულია გაზეთის დიპლომატიური მიმომხილვის წერილი იმ მიმართვის შესახებ, რომელიც ნანკინის მთავრობამ კელოგის პაქტის ხელისმომწერ სახელმწიფოებსა და ერთა ლიგას გაუგზავნა. წერილში ნათქვამია, რომ ამ მიმართვის მიზანია — გამოიწვიოს სახელმწიფოების ჩარევა „მანჯურიაში საბჭოთა შეჭრის“ წინააღმდეგ.

მიმომხილველი სწერს: ახლაც ისევე, როგორც რამდენიმე თვის წინად, როდესაც ჩინეთის წარმომადგენელმა ჟენევაში ეს საკითხი აღძრა, ერთა ლიგას წევრები, ალბად, არ მოიწონებენ ნანკინის თხოვნას ჩარევის შესახებ. (ადს).

**ერთა ლიგას ჩინეთისაგან არავითარი მიმართვა არ მიუღია**

ბერლინი, 28 ნოემბერი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ერთა ლიგას ჯერ კიდევ არ მიუღია ნანკინის მთავრობის მიმართვა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის შესახებ. (ადს).

**ცნობები ჯერ არ გამოქვეყნებულა**

შანხაი, 28 ნოემბერი. ის ცნობა, რომ მუკდენის მთავრობამ მიიღო საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოდგენილი ყველა პირობები, ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული ადგილობრივ გაზეთებში. მიუხედავათ ამისა, ცნობები ამის შესახებ სწრაფად გავრცელდა მთელ ქალაქში და უდიდესი, თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკურ წრეებში. (ადს).

**ჯარი აჯანყდა**

ტოკიო, 28 ნოემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობით, 15.000 ჩინელი ჯარისკაცი მორალურად სრულებით გაიხრწნა და უკან იხევს დასავლეთისაკენ. პანიკა მოედო ხაილარში მოსულ დამხმარე ჯარსაც. ჯარის ნაწილი აჯანყდა და დაიწყო ძარცვა-გლეჯა.

**ჯარი უკან იხევს**

ტოკიო, 28 ნოემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დასავლეთ ხაზზე მომხდარმა ამბებმა სრულიად შეარყიეს სამხედრო და რკინის გზის აპარატები. ჩინელების აზრით, ეს საბჭოთა ჯარის ღრმა შეჭრის შედეგია.

შთაბეჭდილების შესასუსტებლად ჩინურმა გაზეთებმა გამოიგონეს ვერსია, ვითომ უკან დახევა ისახავს პოლიტიკურ მიზანს, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ საბჭოთა კავშირმა დაარღვია კელოგის პაქტი და, ჩინეთის ჯარის პასიური პოზიციის მიუხედავად, დაიწყო შეტევა. (ადს).

**პანიკა ხარბინში**

ვაშინგტონი, 28 ნოემბერი. ხაილარიდან ადასტურებენ, რომ ჩინეთის ჯარებმა დახევის წინ გასძარცვეს ქალაქი და ცეცხლი წაუკიდეს მას.

ხარბინში პანიკაა. ჩინეთის სავაჭრო პალატამ სთხოვა ადგილობრივ ხელისუფლებას — უცხოეთის ჯარი მიიწვიოს, თუ, ვინიცობაა, ჩინელი ჯარისკაცები ხარბინის გაძარცვას ეცდებიან. (ადს).

ტოკიო, 28 ნოემბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, იქ უკანასკნელ დღეებში თავი მოიყარა 12 ათასზე მეტმა ლტოლვილმა. ბუხედუს დასავლეთით მდებარე რაიონი სამხედრო ზონად არის გამოცხადებული. ხაილარის ახლო ხიდი გაფუჭებულია. (ადს).

## ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

**„დეილი ჰერალდ“-ი ამხ. სოკოლნიკოვის დანიშვნის შესახებ**

ლონდონი, 28 ნოემბერი. „დეილი ჰერალდ“-ის სპეციალური კორესპონდენტი ეხება ამხ. სოკოლნიკოვის სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშვნის საკითხს და სწერს:

„სოკოლნიკოვის დანიშვნა იმის მომასწავებელია, რომ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა მეგობრულად განვითარდება. ახალი ელჩი პრაქტიკოს-ეკონომისტია, სახელმწიფო ფინანსების, აგრეთვე თავისი ქვეყნის ეკონომიურ საჭიროებათა და სავაჭრო შესაძლებლობათა დიდი მცოდნე. იგი ყველაზე უფრო შესაფერი პირია იმისათვის, რომ იყოს რუსეთის წარმომადგენლად მომავალი მძიმე და რთული მოლაპარაკების დროს“. (ადს).

**როდის შეუდგებიან ელჩები მოვალეობის შესრულებას**

ლონდონი, 28 ნოემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ჰენდერსონმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დანამდვილებით სთქვას, როდის შეუდგებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას ინგლისის ელჩი მოსკოვში და საბჭოთა ელჩი ლონდონში, თუმცა ამ საქმისათვის მზადება მალე დამთავრდება.

შეკითხვაზე — სწარმოებს თუ არა რაიმე მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობის მიერ განცხადებული პოლიტიკის შესახებ, ჰენდერსონმა უარყოფითი პასუხი გასცა. (ადს).

**ინგლისის საელჩოს შემადგენლობა**

ლონდონი, 28 ნოემბერი. „ივნინგ სტანდარტ“-ი იუწყება, რომ ინგლისის საელჩოს მრჩეველად მოსკოვში და ახალი ელჩის „მარჯვენა ხელი“ იქნება ეშტონ-გვატკინი, რომლის დიპლომატიური სამსახურიც უმთავრესად იაპონიაში მიმდინარეობდა. გვატკინი მწერალიც არის. საელჩოს პირველ მდივნად იქნება კოლინ-მარკ პატრიკი. (ადს).

## მდგომარეობა ჩინეთის ფრონტებზე

**ჩან-კაი-ში და ფინ-იუი-სიანი მორიგდნენ?**

პეკინი, 28 ნოემბერი. როგორც „პეკინ-ჟან-ბაო“ იუწყება, გომინძიუნის ჯარმა უკან დაიხია, რადგან ფინ იუი-სიანმა ჩან-კაი-შისგან მიიღო 10 მილიონი დოლარი. გარდა ამისა, ჩან-კაი-შიმ პირობა დასდო, რომ სამხრეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მოიწვევს ჩინეთის ხელმძღვანელ მოღვაწეთა კონფერენციას. გაზეთების სიტყვით, შეთანხმება მიღწეულ იქნა ენ-სი-შანის შუამავლობით. (ადს)

**კანტონი დაპყრობის საფრთხის წინაშე**

ლონდონი, 28 ნოემბ. „ტაიმს“-ის ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კანტონი დაპყრობის საფრთხის წინაშე იმყოფება. ქალაქში მეტად მძიმე სულიერი განწყობილებაა. (ადს)

## ინგლისის მუშათა დელეგაციის განცხადება

ლონდონი, 28 ნოემბერი. დაბრუნდა ინგლისის მუშათა დელეგაცია, რომელმაც საბჭოთა კავშირში იმოგზაურა.

დელეგატებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ ნახულმა ყოველმა მოლოდინს გადააჭარბა. დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საბჭოთა მუშები ბევრად უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე ინგლისის მუშები. დელეგატებმა განაცხადეს, რომ მათ მტკიცედ გადასწყვიტეს მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ ინგლისის და საბჭოთა მუშების მთლიანი ფრონტის შექმნას. (ადს).

## მუშები იცავენ თავიანთ გაზეთს

პარიზი, 28 ნოემბერი. „ლიუმანიტე“-ს სასარგებლო შეგროვილმა ფულმა 1 მილიონ ფრანკს გადააჭარბა. 19 პროფკავშირის ცენტრალური ორგანოების ანარიცხები 70.000 ფრანკზე მეტს შეადგენენ. მუშა-მკითხველების ინდივიდუალური შემოწირულება კვლავ ინტენსიურად შემოდის. მუშურ-გლეხური ბანკის გამგეობა, რომლის წევრთა ნაწილიც პარტიიდან გამორიცხულ ოპორტუნისტებისაგან შესდგება (ეს უკანასკნელნი მონაწილეობას იღებენ „ლიუმანიტე“-ს დევნაში), წერილით გამოიწვია სასამართლოს მიერ ბანკში გაზეთისაგან მოითხოვენ 2 მილიონ ფრანკზე მეტის გადახდას. გამგეობის გამოანგარიშებით, „ლიუმანიტე“-ს დავალიანება, 700.000 ფრანკის გადახდის შემდეგ, 1.146.000 ფრანკს უდრის.

...კოტის ორგანო „ამი დე პეპლ“ ისევ მოითხოვს — გამოყენებულ იქნეს „ლიუმანიტე“-სათვის სასიკვდილო ლახვარის ჩაცემის საუკეთესო საშუალება: დაუყონებლივ მოეთხოვოს მას მთელი ვალის გადახდა, რაც აიძულებს „ლიუმანიტე“-ს გამოცემის სტამბა ... [illegible]

## დასავლეთ უკრაინის მშრომელთა პროტესტი

[illegible]

## შეტაკება მუშებსა და ფაშისტებს შორის

[illegible]

## ნადირ-ხანის დეკლარაცია

[illegible]

## ავსტრიის მუშა-ქალთა დელეგაციის დაბრუნება

ვენა, 28 ნოემბერი. ვენის მუშები აღფრთოვანებით შეეგებნენ ავსტრიის მუშა-ქალთა დელეგაციას, რომელიც საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა. ხელისუფლებამ სადგურზე გაგზავნა პოლიციელთა რაზმი, რომელიც დელეგატებს თვალყურს ადევნებდა იმ დრომდე, სანამ ისინი თავიანთ ბინებზე არ დაბრუნდნენ. დელეგატები საწარმოებში გამოვლენ მოხსენებებით. (ადს).

# საბჭოთა კავშირის ცაკის მეორე სესია

დღეს იწყება საბჭოთა კავშირის ცაკის მორიგი სესია, რომელმაც უნდა განიხილოს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის 1929—30 წლის საკონტროლო ციფრების, 1929—30 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და ტრაქტორთმშენებლობის განვითარების გეგმის, ტაჯიკის ავტონომიური რესპუბლიკის მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნის და სხვა საკანონმდებლო საკითხები.

სრულიად საკავშირო საბჭოების ყრილობამ, რომელმაც საბჭოთა კავშირის სახალხო-სამეურნეო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა დაამტკიცა, ჩვენს ქვეყანას დაუსახა მისი საწარმოო ძალების ამოძრავებისა, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარებისა, სოფლის სოციალისტური გარდაქმნისა და მშრომელთა ფართო მასების კულტურული წინსვლის უდიდესი ამოცანები.

ხუთწლედის პირველი წლის წინასწარი შედეგები გვიჩვენებენ, რომ ხუთწლიან გეგმაში დასახული ამოცანები არა თუ განხორციელდებიან, არამედ ვარაუდსაც კი გადააჭარბებენ. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ განვითარება, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების უძლიერესი მისწრაფება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაზოგადოებისადმი, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა, პროლეტარული მასების და ულარიბესი გლეხობის შემოქმედებითი თაოსნობის, თვითმოქმედებისა და თვითკრიტიკის გაძლიერება და გადამწყვეტი სოციალისტური შეტევა სამეურნეო მშენებლობის მთელი ფრონტით, — ყოველივე ეს საიმედო წინასწარ პირობებს ჰქმნის იმ დიდი და ძნელი ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც ჩვენ ქვეყანას დაუსახა ხუთწლიანმა გეგმამ.

სახალხო მეურნეობის 1929—30 წლის საკონტროლო ციფრები, რომლებიც მთავრობამ სესიას განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგინა, ითვალისწინებენ მთელი სახალხო-სამეურნეო მშენებლობის ტემპის უდიდეს გაძლიერებას.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ქვანახშირის ამოღება იზრდება 27,2 პროცენტით, რკინის მადნისა — 50,7 პროცენტით, თუჯისა — 32 პროცენტით, ტრაქტორების წარმოება — 250,3 პროცენტით, სუპერფოსფატების — 123 პროცენტით, ფოსფორიტის ფქვილის — 289 პროცენტით, ცემენტისა — 58 პროცენტით, აგურისა — 77 პროცენტით და სხვ. ამასთან შეფარდებით იზრდება მსხვილ სახელმწიფო და აგრეთვე ცენზიან მრეწველობაში ჩაბმული მუშების რაოდენობა.

ხარისხობრივ მაჩვენებელთა მხრით შარშან საკონტროლო ციფრები რაოდენიმე ვერ შესრულდა. თვითღირებულების შემცირება, რომელიც 7 პროცენტით იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად დაახლოებით 5 პროცენტით გამოიხატა. ამ გარემოებამ თვალსაჩინო ფინანსიური სიძნელენი შექმნა მრეწველობისათვის. წელს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითღირებულება გათვალისწინებული 11 პროცენტით შევამციროთ. ჩვენი ქვეყნის ყველა სამრეწველო ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა დაუსახონ თვითღირებულების შემცირების კონკრეტული დავალება თვითეულ ქარხანასა და ფაბრიკას, ხოლო მსხვილ საწარმოებში თვითეულ ძირითად საამქროს და ფეხდაფეხ თვალყური ადევნონ მის განხორციელებას.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დიდმა ზრდამ, რომელსაც თან სდევდა შვიდი საათის სამუშაო დღეზე 650.000-ზე მეტი მუშის გადაყვანა, საშუალება მოგვცა, რომ, შრომის ნაყოფიერების 15 პროცენტით ზრდასთან ერთად, ჩაგვება მრეწველობასა, მშენებლობასა და სხვა დარგებში დაახლოებით 570.000 მუშა, რამაც შარშან შეანელა უმუშევრობის ზრდა. თუმცა 1928—29 წელს სრულად ვერ განხორციელდა თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალება, მაგრამ განვლილმა წელიწადმა ამ მხრით მაინც დიდი მიღწევები მოგვცა.

სოციალისტური მშენებლობის წარმატება კაპიტალისტური ელემენტების გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევს. კულაკები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის ღონისძიებებს პურის დამზადებისა, ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობათა კოლექტივიზაციისა, ნათესების გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების დარგში. მაგრამ კულაკების წინააღმდეგობას ულრესად გადამწყვეტი პასუხი გასცეს ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო მასებმა. ახლა, 1929—30 წელში გადასვლის დროს, ჩვენ გვაქვს პურის სარეზერვო ფონდი თითქმის 1,64 მილ. ტონის რაოდენობით, გვაქვს შემოდგომის თესვის კამპანიის ხელსაყრელი შედეგები და სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების ფართოდ გაშლილი ფრონტი. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა მეტის-მეტად აჩქარებს პურის საკითხის გადაჭრას და შესაძლებლად ხდის, რომ წელს განსაზოგადოებული სექტორისაგან საბაზრო პურის მიღების ამოცანა გავადიდოთ 250-ზე მეტი პროცენტით, იმ პურის გარდა, რომელიც სოფლად ტრიალებს. კოლექტიურ მეურნეობათა ნათესი სივრცე 1928—29 წელს 207 პროცენტით გაიზარდა, ხუთწლიანი გეგმით კი გათვალისწინებული იყო 137 პროცენტი. პურეულის საერთო აკრეფა გადიდდა 240 პროცენტით, ხოლო საბაზრო პროდუქცია — 278 პროცენტით. ამავე დროს, კოლექტივიზაციის უდიდეს ზრდასთან ერთად მოვიპოვეთ უდიდესი წარმატებანი კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის დარგში.

მაგრამ მიმდინარე წელს კიდევ გვექნება ერთგვარი სასურსათო სიძნელეები. ეს გარემოება საქონლის ბრუნვის განსაზოგადოებულ სექტორს, პირველ ყოვლისა, კოოპერაციას პასუხსაგებ ამოცანას უსახავს; ეს ამოცანაა: მუშური მოსახლეობისათვის სურსათის მიწოდების რაციონალიზაცია, რისთვისაც საჭიროა კლასობრივი ხაზის მტკიცედ დაცვა ნორმიანი სასურსათო პროდუქტების განაწილებაში; მის ამოცანას შეადგენს აგრეთვე ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ პროდუქტები სასპეკულაციო ბაზარზე არ გადიოდეს და მათი ფასები სპეკულიანტურად არ იზრდებოდეს.

ამ ამოცანების გადაჭრისაგან უშუალოდ დამოკიდებულია საბიუჯეტო ინდექსის შემცირება 2,5 პროცენტით და რეალური სამუშაო ხელფასის გადიდება 12 პროცენტით.

სოციალისტური მშენებლობის უდიდესი, ჩვენ ჩამორჩენილ ქვეყანაში აუცილებელი სიძნელეები ზოგიერთ მერყევ ელემენტებში ჩვენი პარტიის შიგნით იწვევს ოპორტუნისტულ სულისკვეთებას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მათ არა სწამთ მუშათა კლასის შემოქმედებითი ძალა, რომ ისინი სცდილობენ შეასუსტონ შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე და შეანელონ სოციალისტური რეკონსტრუქციის ტემპები. მაგრამ ის წარმატება, რომელიც მიღწეულია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში, სავსებით ადასტურებს პარტიის პოლიტიკის სისწორეს. პარტიამ არა მარტო შესძლო კლასობრივი მტრის პირდაპირი წინააღმდეგობის მოგერიება, არამედ ის წარმატებით სძლევს ობიექტურ სიძნელეებს და, მემარჯვენე ოპორტუნისტულ ტენდენციებთან შეურიგებელი ბრძოლით, ამაგრებს სოციალიზმის პოზიციებს. ცხადია, სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადალახვას ჩვენ ერთი წლის განმავლობაში ვერ მივაღწევთ. მაგრამ წარსული წლის გამოცდილებამ უკვე გვიჩვენა, რომ ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით.

წარსულ წელს აღმოჩენილ იქნა მავნებელთა ბუდეები მრეწველობაში, თვითკრიტიკამ ნათლად გამოააშკარავა მრავალი ბიუროკრატიული დაავადებანი და კლასობრივი დამახინჯება საბჭოთა აპარატის, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. ამიტომ მიმდინარე წელმა ხარისხსა და რაოდენობის მხრივ ახალი კადრების მომზადების საკითხი დასვა როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომლის გადაჭრისაგან დამოკიდებულია ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულება.

1929-30 წლის საკონტროლო ციფრები წარმოადგენენ სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გეგმას, 1929-30 წლის დამლევისთვის სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში უნდა მოექცეს სახალხო მეურნეობაში ჩაბმულ პირთა საერთო რიცხვის 25 პროც. და დაქირავებული შრომით მომუშავეთა 85 პროც.; ხსენებულმა სექტორმა უნდა მოგვცეს ჩვენი ქვეყნის საერთო პროდუქციის 51 პროცენტზე მეტი, მისი სასაქონლო პროდუქციის — 70 პროცენტზე მეტი, სავაჭრო-საშუამავლო ბრუნვის 96 პროცენტზე მეტი, ჩვენი ქვეყნის ძირითადი ფონდების 59 პროც.; მასში უნდა ჩაიდოს ყველა კაპიტალურ დაბანდებათა 76 პროცენტი.

სოფლის მეურნეობის დარგში საკონტროლო ციფრების მიერ გათვალისწინებულია ნაყოფიერი სივრცის გადიდება 1930 წლის გაზაფხულისთვის 10,5 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობების ნათესი სივრცის გადიდება — 83,8 პროცენტით, კოლმეურნეობათა ნათესი სივრცის გადიდება — 249 პრ—ით, გადიდება მარცვლეულის წარმოებისა — 16,6 პროც., ბამბისა — 48,7 პრ-ით, სელისა — 12,5 პრ-ით, შაქრის ჭარხლისა — 77 პრ.-ით, მსხვილფეხა საქონლისა — 4,5 პრ-ით, და სხვ.

ყველა ამ დავალებათა განსახორციელებლად დასახულია ტრაქტორების მიწოდების პროგრამის უდიდესი ზრდა (410.000 ცხენის ძალა). პროექტის მიხედვით, სოფელს უნდა მივაწოდოთ 406 მილიონი მანეთის ტრაქტორი, აქედან 50 პროცენტამდე განსაზოგადოებულ სექტორს, სოფლისათვის მიწოდებული მინერალური სასუქის რაოდენობა უნდა უდრიდეს 1.066.000 ტონას. დასახულია 102 სამანქანო-სატრაქტორო სადგურის აგება, რომელთა მოქმედებაც 1,5—2 მილიონ ჰექტარ სახნავ მიწაზე უნდა გავრცელდეს; დასახულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში 16,5 მილიონამდე გლეხური მეურნეობის გაერთიანება. კაპიტალურ დაბანდებათა მთელი ჯამი სოფლის მეურნეობაში უნდა უდრიდეს 4,8 მილიარდ მანეთს, აქედან განსაზოგადოებულ სექტორში — 1,6 მილიარდ მანეთს.

უდიდეს დავალებებს უსახავს საკონტროლო ციფრები ტრანსპორტს. დასახულია რკინის გზათა ნაყოფიერების გადიდება 17,5 პროცენტით, რკინის გზით ტვირთის გადატანის თვითღირებულების შემცირება, შარშანდელთან შედარებით, — 14 პროცენტით, და მშენებლობის ღირებულების შემცირება, სულ მცირე — 8 პროცენტით. კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა ტრანსპორტში განსაზღვრულია 1,9 მილიარდი მანეთით, აქედან გზატკეცილებსა და საურმე გზებზე — 242 მილ. მანეთით. რასაკვირველია, კაპიტალურ დაბანდებათა ეს რაოდენობაც ვერ დააკმაყოფილებს სავსებით ტრანსპორტის ყველა საჭიროებებს. სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში ჩვენი ტრანსპორტი ამჟამად სუსტ ნაწილს წარმოადგენს. მიმდინარე წლის განმავლობაში მთავრობას დასჭირდება განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სატრანსპორტო მშენებლობის მთელ რიგ მწვავედ დასმული საკითხებისათვის.

შრომის დარგში დასახულია ნომინალური სამუშაო ხელფასის გადიდება: მრეწველობაში — 9 პროცენტით, მშენებლობაში — 5 პროცენტით, ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფში — 7,1 პრ-ით, სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებებში — 5,7 პრ-ით, კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში — 13 პრ-ით, სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებებში — 11 პრ-ით და სასოფლო-სამეურნეო მუშებისათვის — 7,7 პროცენტით.

მიმდინარე წლის დამლევისთვის განზრახულია გადაყვანილ იქნას შვიდსაათიან სამუშაო დღეზე 860.000 ინდუსტრიალური მუშა.

ამ გეგმის განხორციელებას, რასაკვირველია, უდიდეს წინააღმდეგობას გაუწევს პროლეტარიატის კლასობრივი მტერი, მაგრამ წარსული წლის გამოცდილება მტკიცე რწმენას გვაძლევს, რომ ეს წინააღმდეგობა დაძლეული იქნება.

ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის შემდგომი განმტკიცება, გადამჭრელი სოციალისტური შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე, მედგარი ბრძოლა კლასობრივი ხაზის დამახინჯებასთან და ოპორტუნისტულ რყევასთან, — აი სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესრულების ძირითადი პირობები.

დავალებებისა და ღონისძიებების უდიდესი გაქანება სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ცალკე დარგებში წელს ფინანსიური სახსრების სათანადო მობილიზაციას მოითხოვს.

სახელმწიფო ბიუჯეტი მთავრობის მიერ წარდგენილია 11.390.000.000 მანეთის რაოდენობით. როგორც საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის მიერ ამ ბიუჯეტის წინასწარი განხილვის შედეგებიდან სჩანს, ბიუჯეტი გადიდებული იქნება 11.620.000.000 მანეთამდე. მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც საბჭოთა კავშირის ცაკს წარედგინა, წარსულ წელთან შედარებით, თითქმის 50 პროცენტით არის გადიდებული. კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ეს სრულებით გაუგონარი ზრდა სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებელია მხოლოდ განსაზოგადოებული მეურნეობის პირობებში. ბიუჯეტი რასაკვირველია, დაჭიმულია თავის საშემოსავლო ნაწილში, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის ეს დაჭიმვა მთელი სოციალისტური მშენებლობის ტემპის დაჭიმვისაგან გამომდინარეობს. ამასთან უნდა ითქვას, რომ დღემდე, მიუხედავად ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის მეტად დაჭიმვისა, ჩვენ არასრულად ვაფასებდით ჩვენს რეალურ შესაძლებლობებს. 1926-27 წლის დაჭიმული ბიუჯეტი რეალურად შესრულებულ იქნა 8 პროცენტის გადაჭარბებით, 1927-28 წლის ბიუჯეტი — 6,5 პროცენტის გადაჭარბებით და 1928-29 წლის ბიუჯეტი — 5,5 პროცენტის გადაჭარბებით. ამიტომ ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მიმდინარე წლის მეტისმეტად დაჭიმული ბიუჯეტიც რეალური აღმოჩნდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების საკითხებთან ერთად სესიამ უნდა გადასჭრას აგრეთვე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ახალი მოკავშირე რესპუბლიკის შექმნის საკითხი. პატარა, კულტურულად ჩამორჩენილ, საბჭოთა კავშირის საზღვრებზე მდებარე ქვეყანას (ტაჯიკისტანს), მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნით ეძლევა ახალი შესაძლებლობანი კულტურული და სახალხო-სამეურნეო განვითარებისათვის. სესიის გადაწყვეტილებას ახალი მოკავშირე რესპუბლიკის შექმნის შესახებ, უეჭველია, უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის.

შემდეგ სესიამ უნდა გადასწყვიტოს საბჭოთა კავშირის ახალი სახალხო კომისარიატის — მიწათმოქმედების კომისარიატის შექმნის საკითხი. განვლილი წლების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ სათანადო ორგანიზაციულ ღონისძიებებს მოითხოვენ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დასახული უდიდესი ამოცანები სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში, კერძოდ, სწრაფი განვითარების გზაზე შემდგარი მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების დარგში. ამჟამად ასეთ საჭირო ორგანიზაციულ ღონისძიებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის შექმნა. ამ საკითხის გადაჭრით საბჭოთა კავშირის ცაკის სესია შესაძლებლად გახდის უფრო გეგმიანად სწარმოებდეს სოფლის მეურნეობის მშენებლობა, მისი კოლექტივიზაციისა და მისი საწარმოო ძალების განვითარების გზით.

„პრავდა“. 29 ნოემბერი.

# საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 29 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმზე ამხ. ჩუცკაევმა გააკეთა მოხსენება საბალანსო კომისიის მუშაობის შესახებ. 1929—30 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობა განსაზღვრულია 11 623.900.000 მანეთის რაოდენობით, რაც 233.900.000 მან. აღემატება კომისართა საბჭოს მიერ მიღებულ პროექტს. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში გასავლის მუხლები უმთავრესად გადიდებულ იქნა სახალხო მეურნეობის და კულტურულ საჭიროებათა დარგში. საწვავი მასალის მრეწველობის დარგში გასავალი გადიდებულ იქნა 40 მილიონი მანეთით, მარცვლეულის ტრესტს დამატებით დაენიშნა 33 მილიონი მანეთი. განათლების კომისარიატების ხარჯთაღრიცხვები გადიდებულ იქნენ 10.500.000 მანეთით და სხვა.

ის სახსრები, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტებს გადაეცემა, გადიდებულ იქნა 24.800.000 მანეთით სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხებიდან და 14.800.000 მანეთით — სუბვენციის ფონდიდან.

პლენუმმა დაადასტურა საბალანსო კომისიის ყველა წინადადებები. (ადს)

# საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 29 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის 28 ნოემბრის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ლოზოვსკის და დოგადოვის საბოლოო სიტყვები.

ამხ. ლოზოვსკიმ სთქვა: „საბჭოთა პროფმოძრაობა, რომელსაც ამჟამად 12 მილ. წევრი ჰყავს, ყველაზე უფრო ძლიერი ორგანიზაციაა მთელ მსოფლიოში. მახლობელი მომავლისათვის ჩვენი პროფესიონალური მოძრაობის ძირითადი ლოზუნგი უნდა იყოს: „პირით წარმოებისაკენ“.

უნდა გაძლიერდეს კავშირი საზღვარგარეთის რევოლუციონურ პროლეტარიატთან, რათა შეერთებული ძალით შევებრძოლოთ კაპიტალიზმს და ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება“.

ამხ. დოგადოვმა აღნიშნა, რომ პროფკავშირებმა, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის უდიდესი ამოცანების წინაშე დგანან, უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობის ტემპი და მეთოდები.

მუშაობის ძირითადი ღერძია სოციალისტური მშენებლობა. უნდა მოხდეს პროფმოძრაობის მუშა საფეხურების მაქსიმალური გამარტივება და შემცირება, რათა რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდეს აპარატი საწარმოს. უმუშევრობასთან ბრძოლა ამჟამად უნდა სწარმოებდეს საწარმოო განხრის ხაზით (და არა „სოციალური უზრუნველყოფის“ ხაზით). ფართოდ უნდა მოეწყოს ბირჟის აღრიცხვაზე მყოფი არაკვალიფიციური მუშების მომზადება. ამ გზით, უმუშევრობის შემცირებასთან ერთად შევავსებთ კვალიფიციური მუშების დანაკლისს, რასაც უფრო და უფრო მწვავედ ვგრძნობთ.

ამხ. ლოზოვსკის და დოგადოვის მოხსენებათა გამო პლენუმმა მიიღო რეზოლუციები, რომელთა საბოლოო დამუშავება მიენდო განსაკუთრებულ კომისიას. (ადს).

# ანტისაბჭ. ორგანიზაციის ლიკვიდაცია

ლენინგრადი, 29 ნოემბერი. სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ აღმოაჩინა „ხლისტების“ ბუდე, რომელიც ლენინგრადში მოქმედებდა, და რომელიც დაკავშირებული იყო მოსკოვის, ტომსკის, უფის, ირკუტსკის და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების ასეთსავე ბუდეებთან. 27 დაპატიმრებულთა შორის ყველაზე თვალსაჩინო პირი ლომონოსოვია, რომელსაც რევოლუციამდე საბანკირო კანტორა ჰქონდა და მილიონებს ატრიალებდა, ხოლო რევოლუციის შემდეგ მოსკოვში ჰქონდა დიდი მაღაზია. ლომონოსოვი ფინანსურად ეხმარებოდა ...ლოდენა დაახლ. 40.000 მანეთი, მიიმალა და შემდეგ „ხლისტურ“ მოქმედებას.

სხვა აქტიური მეთაურები არიან უფლილი თეთრგვარდიელები, ვაჭრები და სპეკულიანტები.

ხლისტები პროპაგანდას ეწეოდნენ არა მარტო ლენინგრადის მახლობელ სოფლებში, არამედ ლენინგრადის ფაბრიკებშიც. ქალიაზოვის სახელობის ფაბრიკაში მათ მოუწყობიათ ქალთა წრე. ახალ მსხვერპლთა შემოკრება, უმთავრესად ხდებოდა მცირეწლოვანთა წრეებიდან.

სექტის ხელმძღვანელები იყენებდნენ სექტის ზოგიერთი წევრის ეკონომიურ დამოკიდებულებას, ფიზიკურ სიმახინჯეს და ფსიქოლოგიურ ჩამორჩენილობას და ეწეოდნენ მათს შეუბრალებელ ექსპლოატაციას.

ხლისტები აწარმოებდნენ ანტი-საბჭოთა პროპაგანდას. (ადს)

# ა.-კ. საფეიქრო მრეწველობის გამოკვლევის შედეგები

მოსკოვი, 29 ნოემბერი. საფეიქრო სინდიკატის გამგეობამ მოისმინა იმ კომისიის მოხსენება, რომელმაც ამიერ-კავკასიის საფეიქრო მრეწველობის გამოკვლევა მოახდინა. ამიერ-კავკასიის საფეიქრო მრეწველობის სწრაფ ზრდასთან ერთად, გამგეობამ აღნიშნა დეფექტებიც; ფაბრიკების კაპიტალური მშენებლობის არაჩვეულებრივი ნელი ტემპი და ამავე დროს ამ მშენებლობის უგეგმობა და უხარისხო-აღრიცხვით წარმოება; სამშენებლო მუშაობის ხარისხის უვარგისობის მრავალი შემთხვევა; ფაბრიკის ასაგები ადგილის ცუდი შერჩევა; შრომის ნაყოფიერების სიმცირე და პროდუქციის უფრო დიდი თვითღირებულება, ვიდრე ეს საბჭოთა კავშირის ანალოგიურ საწარმოებშია.

საფეიქრო სინდიკატის გამგეობამ მიზანშეწონილად სცნო ამიერ-კავკასიის ბამბისა და მატყლის მრეწველობის ერთი ფედერატიული მნიშვნელობის ტრესტში გაერთიანება, ვინაიდან მრეწველობის სამ სხვადასხვა ორგანიზაციაში მოქცევა უკიდურესად აძნელებს ამ მრეწველობის გაძღოლის საქმეს.

აბრეშუმის მრეწველობაშიაც, არსებული ორგანიზაციების ნაცვლად, უნდა შეიქმნას ფედერატიული მნიშვნელობის გაერთიანებული ტრესტი, რომელსაც დაეკისრება აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკების ხელმძღვანელობა და ნედლეულის ბაზის შექმნა.

გამგეობამ დაამტკიცა კომისიის დასკვნა იმის შესახებ, რომ 1929—30 წელს ლენინის სახელობის ფაბრიკამ ბაქოში და სომხეთის საფეიქრო საწარმოებმა თვითღირებულება 12 პროცენტით შეამციროს.

მატყლის ნედლეულის ბაზის გასაფართოებლად საფეიქრო სინდიკატის გამგეობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ამიერ-კავკასიაში გაძლიერდეს მეცხვარეობის კოლექტიური მეურნეობათა შექმნა და მოეწყოს ჯიშიანი ცხვრის მეურნეობანი და მეცხვარეთა საზოგადოებანი. მთავრობის უმაღლესი ორგანოების წინაშე დაისმება საკითხი ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ.

განზრახულია, ამიერ-კავკ. რესპუბლიკების ს.მ.უ. საბჭოების მოთხოვნის თანახმად, ფეიქართა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, გამოიყოს სპეციალისტ-მუშაკების საჭირო რიცხვი ამიერ-კავკასიის საფეიქრო მრეწველობისათვის. ამასთან ერთად ამიერ-კავკ. ტრესტებს საშუალება მიეცემათ საბჭოთა კავშირის ცენტრ. რაიონის საწარმოებში ამიერ-კავკასიის მუშა-ფეიქართაგან მოამზადონ დაბალი და საშუალო ტექნიკური პერსონალი. (ადს).

# ლენინის ნაწერები სომხურ ენაზე

[illegible]

# მოსკოვი

## (ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**იმპერიალისტების ხრიკები ჩინეთ - საბჭოთა კავშირის საკითხში**

მოსკოვი, 29 ნოემბერი. ლონდონიდან მიღებულ ცნობის თანახმად, ნანკინის მთავრობა შეეკითხა ერთა ლიგას, რა პროცედურა არსებობს იმისათვის, რომ მოგვარებულ იქნას ჩინეთ - საბჭოთა კავშირის კონფლიქტი. ამასთანავე ჩინეთის ელჩმა ინგლისში მეორეჯერ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ჰენდერსონი, რომელსაც გააცნო ნანკინის მთავრობის დამოკიდებულება ჩინეთ - საბჭოთა კავშირის საზღვარზე შექმნილ მდგომარეობისადმი.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ“-ი იტყობინება, რომ ასეთივე ნაბიჯი გადასდგეს ჩინეთის ელჩებმა პარიზში და ვაშინგტონში.

ლონდონის პრესა გაცხოველებულ კომენტარიებს უძღვნის საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობას. დიპლომატიურ წრეებთან ახლო მდგომი გაზეთები სწერენ, რომ ნანკინი მიმართავს საჩივრით ერთა ლიგას. გაზეთების სიტყვით უკვე შემუშავებულია გეგმა, რათა ამოძრავებულ იქნას ერთა ლიგის მექანიზმი იმ მიზნით, რომ შექმნან მდგომარეობა, როცა ჩინეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გადაჭრისათვის საჭირო გახდება კელოგის პაქტის გამოყენება. საამისო პროცედურა მდგომარეობს შემდეგში:

ერთა ლიგის გენერალური მდივანი ნანკინის მთავრობის მიმართვას დაუგზავნის ერთა ლიგის საბჭოს ყველა წევრებს. ამასთანავე ნანკინის მთავრობის მიმართვას შეიტანს ერთა ლიგის საბჭოს მორიგ სესიის დღის წესრიგში. საბჭოს სესია შეიკრიბება არა უგვიანეს 1930 წლის იანვრისა. შემდეგ ერთა ლიგის საბჭო წინადადებას მისცემს საბჭოთა მთავრობას ბოლო მოუღოს კონფლიქტს ან გაგზავნოს ჟენევაში თავისი რწმუნებული მოლაპარაკების საწარმოებლად ერთა ლიგის საბჭოს დებულებათა საფუძველზე.

წინასწარვე იმედოვნებენ, რომ საბჭოთა მთავრობა უარს განაცხადებს ამ წინადადებაზე. ამრიგად ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის მოგვარება შეუძლებელი შეიქმნება. დარჩება ერთად - ერთი გზა — ძალაში უნდა შევიდეს კელოგის პაქტი.

**უცხოეთის პრესა ჩინეთ - საბჭოთა კავშირის კონფლიქტის შესახებ**

მოსკოვი, 29 ნოემბერი. ლონდონის პრესა მეტად შეშფოთებულია იმ გარემოებით, რომ შესაძლებელია მუკდენი სეპარატიულად შეუთანხმდეს საბჭოთა კავშირს.

ბერლინის საღამოს გაზეთები დიდ კომენტარიებს უძღვნიან მოულოდნელ ცნობას ჩინეთის კაპიტულაციის შესახებ. გაზეთები მსხვილი სათაურებით ბეჭდავენ ამ ცნობას და ერთხმად აღნიშნავენ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის უდიდეს გამარჯვებას. „დოიჩე ტაგეცაიტუნგ“-ის აზრით მუკდენის ჯარების მდგომარეობა კატასტროფიულია. გაზეთი დასცინის ერთა ლიგას, რომელმაც როგორც მოსალოდნელი იყო, უძლურება გამოიჩინა ჩინეთ - საბჭოთა კავშირის კონფლიქტის საკითხში. მთელი პრესა აღნიშნავს, რომ ამიერიდან აღარავითარი აზრი არა აქვს ერთა ლიგის ჩარევას საქმეში ან კელოგის პაქტზე ხელის მომწერ სახელმწიფოთა ღონისძიებებს ამ მიმართულებით.

პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი სენსაცია გამოიწვია ცნობამ, ჩინეთის კაპიტულაციის შესახებ. პრესა დიდ ადგილს უთმობს შორეულ აღმოსავლეთის ამბებს. საბჭოთა კავშირის მოქმედება, გაზეთების სიტყვით, მოწმობს საბჭოთა კავშირის ძლევამოსილობას და საბჭოთა მოღვაწეების გამჭრიახობას საერთაშორისო საკითხებში. პრესა ამასთანავე აღნიშნავს, რომ ყოველგვარმა ცდამ — ბოლო მოეღოთ ჩინეთ - საბჭოთა კავშირის კონფლიქტისათვის ერთა ლიგის დახმარებით, დამარცხება განიცადა.

# მსხვილი საბჭ. მეურნეობები სოფლის სოციალისტური გარდაქმნის მძლავრი საშუალება

## საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობა ხელს შეუწყობს გლეხურ მეურნეობათა რეკონსტრუქციას, განამტკიცებს მრეწველობის ნედლეულ და სასურსათო ბაზას და გაადიდებს ჩვენს საექსპორტო შესაძლებლობებს

**მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა, არსებული საბჭოთა მეურნეობანი საქართველოში ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას: არ არის საკმაოდ გატარებული აგრიკულტურული ზომები. მოსავლიანობა ვერ სდგას საჭირო დონეზე, მცირეა პროდუქციის საქონლიანობა, აქამდე არ არის დამუშავებული მეურნეობათა საწარმოო გეგმები, დაბალია შრომის ნაყოფიერება, სუსტია წარმოების მექანიზაცია**

„კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების რიცხობრივ ზრდასთან და ერთგვარ განმტკიცებასთან ერთად ჩვენ ვხედავთ მეტის-მეტად არადამაკმაყოფილებელ ხარისხობრივ მაჩვენებლებს და ნაკლოვანებებს, რომლებიც,— თუ კვლავაც უყურადღებოდ გამოვიჩენთ მათდამი,—კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი რიცხობრივი ზრდის შეფერხების საფრთხეს შექმნიან... ერთის მხრით, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების, მეორეს მხრით, ახლო-მახლო გლეხთა მეურნეობების ურთიერთობა ჯერ-ჯერობით ნორმალური არ არის და ამიტომ ურთიერთის არ შეეფერება გლეხობასთან კავშირის ახალი ფორმების განმტკიცებისა და განვითარების მოთხოვნილებებს რეკონსტრუქციის პერიოდში. არასწორი ურთიერთობის (მაგალითად, მიწათმოწყობის საკითხებში) ნიადაგზე ხშირად ჩნდება გაუგებრობა საშუალო გლეხებთან და ღარიბ გლეხობასთანაც კი. ალაგ-ალაგ შემჩნეულია აგრეთვე მეიჯარე დამოკიდებულება გლეხთა მეურნეობებისადმი, რაც აშკარად ეწინააღმდეგება უველა ჩვენს თვალსაზრისს და მთელ ჩვენს ხაზს. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი ხშირად კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან და რეგულიარულ საწარმოო და კულტურულ კავშირს არ ამყარებენ გლეხთა ახლო-მახლო მოსახლეობასთან. ასეთი მდგომარეობა სამართლიანად იწვევს სოფლის საშუალო და ღარიბ ფენების საყვედურს და ზოგადაზოგ აღშფოთებასაც კი, რასაც ძალიან მოხერხებულად იყენებენ თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის კულაკური ელემენტები. ერთის მხრით, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებსა და, მეორეს მხრით, გლეხთა ახლო-მახლო მოსახლეობას შორის არსებულ ურთიერთობაში გადამწყვეტი გარდატეხა უნდა მოხდეს ღარიბ და საშუალო გლეხობისათვის საწარმოო და კულტურული დახმარების გასაძლიერებლად. ურილობა მოითხოვს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებისაგან, რომ მათ გადაჭრით უკუაგდონ კარჩაკეტილობისა და გლეხობისადმი მეიჯარე დამოკიდებულების ელემენტები; ურილობა მოითხოვს, რომ კოლექტიურმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოაწესრიგონ ღარიბი და საშუალო გლეხობისათვის ყოველმხრივი დახმარების საქმე (ხარისხოვანი თესლეულის წარმოება, ჯიშიანი საქონლის მოშენება, ბრძოლა მავნებლებთან, გამქირავებელი პუნქტებისა და სარემონტო სახელოსნოების ორგანიზაცია, აგრონომიულ ცოდნათა გავრცელება, გამოცდილების ურთიერთ გაზიარება და სხვ.)“ (საქ. კომპარტიის (ბ) მეექვსე ურილობის რეზოლუცია)

## საბჭოთა მეურნეობანი საქართველოში

## მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია

## ქალაქების უზრუნველყოფა სურსათით და საბჭ. მეურნეობების მნიშვნელობა

## მარცვლეულ კულტურების საბჭოთა მეურნეობანი

## მეხილეობის და მებოსტნეობის მსხვილ საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობა

## საბჭოთა მეურნეობების გავლენა გლეხურ მეურნეობებზე

## მევენახეობა-მეღვინეობის საბჭ. მეურნეობების წარმატებანი

## ორი საბჭოთა მეურნეობა თბ. რაიონში

## მესამე საბჭ. მეურნეობის მიღწევები

# სასამართლო

## შაჩალების საჯარო გასამართლება

ქ. თელავში საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესია საჯაროდ ასამართლებს ბანდიტთა ჯგუფს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატიურ ძარცვა-გლეჯას ეწეოდა კახეთში, აწიოკებდა გლეხობას, ახდენდა მკვლელობებს და სჩადიოდა მრავალ სისაძაგლეებს.

საბრალმდებლო სკამზე ზის 30 კაცი. მათ შორის 15 პროფესიონალური ბანდიტია, რომელთაც ბრალად ედებათ შეიარაღებული თავდასხმების მოწყობა, მკვლელობათა ...ვენა, მასწავლებელ ქალის და მცირე წლოვან მოწაფე ქალის გაუპატიურება და სხვ..

დანარჩენ 15 კაცს ბრალად ედება ბანდიტების შენახვა და მათთვის ხელის შეწყობა.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. თათეიშვილი. მსაჯულებად გამოდიან ამხ. კობაძე და მოსიაშვილი. ბრალს სდებს პროკურორი ამხ. ა. თენეიშვილი. ბრალდებულთ იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები ზარათაშვილი, ლვამიჩავა და სხვები.

პროცესი დიდ ინტერესს იწვევს. სხდომის დარბაზს დიდძალი გლეხობა აწყდება.

სასამართლომ მოწმეების დაკითხვას 5 დღე მოანდომა.

ბრალდებულთა მეტ ნაწილს წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 181 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს სასჯელს—დახვრეტას.

—:—

## ქალის გატაცება

ა./წ. სექტემბერში, სოფელ მისაქციელში (დუშეთის მაზრა) თავის დასთან სტუმრად იყო ჩასული ახალგაზრდა ქალი დუსა დავითის ასული ჰინჭარაშვილი.

ქალი ელოდა შემთხვევას, რომ მგზავრი უნახა და დაბრუნებულიყო ისევ თავის ოჯახში მამასთან ს. არანისში.

ქალის ბიძაშვილმა შაქრო ჰინჭარაშვილმა იკისრა ქალის გაცილება. გაუდგნენ გზას.

სოფელ მისაქციელს რომ გაშორდნენ, მათ წამოეწია ორი ახალგაზრდა. ახალგაზრდები უკან-უკან იყურებოდნენ და არ შორდებოდნენ წინ მიმავალ ქალ-ვაჟს.

ცოტა ხნის შემდეგ მათ სირბილით წამოეწია კიდევ სამი ახალგაზრდა, შეიარაღებულნი ბებუთებით. სამი თავს დაესხა ქალს, ორმა წაავლო ქალის გამცილებელს და უბრძანა არ განძრეულიყო.

თავდამსხმელებმა ქალი გაიტაცეს ტყეში, სადაც ერთმა ქალს მიუთითა ნიკა მოხევიშვილზე და უთხრა: „ეს არის შენი საქმრო, მისთვის მოგიტაცეთო".

ამის შემდეგ ნიკა მოხევიშვილი და ქალი დანარჩენმა თავდამსხმელებმა მარტოდ დასტოვეს ტყეში.

მოხევიშვილმა მოკვლის მუქარით წინადადება მისცა ქალს თანხმობა ეთქვა მის ცოლობაზე. ქალმა ცივი უარით უპასუხა.

გამხეცებულმა მოხევიშვილმა იძრო ხებუთი, შემოახია ქალს ტანისამოსი და იძულებით დაიჭირა მასთან სქესობრივი კავშირი.

თავდამსხმელებმა ქალი წამოიყვანეს მახლობელ სოფელში ფრეზეთში, სადაც მოხევიშვილის ნათესავი ჰყავდა. იქ მათ გამართეს ვახშამი, ახალგაზრდა ქალი ყველას გააცნეს ნიკას საცოლედ.

გაიმართა ქეიფი, ცეკვა-თამაში. მოქეიფენი ისე დათვრნენ, რომ ჭკუა აღარ ეკითხებოდათ. ამით ისარგებლა ქალმა. ისე გაიპარა, რომ არავის გაუგია.

ღამე იყო. გათენებამდე იხეტიალა ქალმა და როგორც იქნა მიაღწია ს. ახალუბნამდე, სადაც ნათესავი ეგულებოდა.

ქალის გამცილებელი, როგორც კი მან თავი დააღწია თავდამსხმელებს, გამოცხადდა დუშეთის მილიციაში. მეორე დღეს მილიციის წარმომადგენელს თავისი თავგადასავალი უამბო ქალმაც.

შეპყრობილ იქნა ხუთივე ბოროტმოქმედი: ნიკა მოხევიშვილი ვანო ზაქაიძე, ვასო ქონქაძე, არსენ ლექიშვილი და ლადო გელაშვილი.

საქმე ამ დღეებში გაარჩია დუშეთის უბნის სახალხო სასამართლომ.

ნიკა მოხევიშვილს (მოძალადე „საქმროს") მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, დანარჩენებს—თითო წლით.

გეჩ.

—:—

## განაჩენი ჭებელდის კულაკებზე მოყვანილია სისრულეში

სოხუმიდან იტყობინებიან, რომ აფხაზეთის ცაკმა არ დააკმაყოფილა ჭებელდის კულაკების თხოვნა სასჯელის შემსუბუქების შესახებ. მსჯავრდადებულთა შორის აკოპ ტოფჩიანს, როგორც ახალგაზრდას, დახვრეტა შეეცვალა 10 წლის პატიმრობით. დანარჩენების მიმართ განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

# უბედური შემთხვევები მტკვარზე

## (როგორ მუშაობს წყალზე დამხმარე საზ-ბა)

თბილისის წყალზე დამხმარე საზოგადოების ცნობებით, 1928 წლის 1 ოქტომბრიდან 1929 წლის პირველ ოქტომბრამდე მდ. მტკვარზე ადგილი ჰქონდა 168 უბედურ შემთხვევას (თვითმკვლელობის განზრახვა, უბედური შემთხვევა ბანაობის დროს და სხვ.), აქედან გადარჩენილი იქნა 156, დაიხრჩო—12. დამხრჩვალთა შორის თვითმკვლელობის შემთხვევა იყო 5. ცხოველებს და ეტლებს უბედურება შეემთხვათ 32-ჯერ, აქედან გადარჩენილია 31, დაიხრჩო 1.

1 ოქტომბრიდან, საბანაო სეზონის დამთავრების გამო, თბილისში დატოვებულია 7 ფასიანი გადამრჩენი პოსტი და 7 მოხალისეთა პოსტი, სულ 14 პოსტი.

ოქტომბრის და ნოემბრის განმავლობაში მტკვარზე ადგილი ჰქონდა სულ 32 უბედურ შემთხვევას, აქედან გადარჩენილია 31, დაიხრჩო—1.

წყალზე დამხმარე საბჭო შეუდგა ახალი დიდი საბანაოს მოწყობას ვერის პარკში (მომავალი „კულტურისა და დასვენების" პარკი). საბანაოს აგება დამთავრდება პირველ აპრილისათვის. საბანაოს ექნება სამი განყოფილება: კაცების, ქალების და ბავშვების განყოფილებები. საბანაო ერთდროულად დაიტევს 1.500 კაცს და დაჯდება 45.000 მანეთი, აქედან აღმასკომის მიერ გაღებულია 25.000 მანეთი. საბანაოს აგება დავალებული აქვთ ინჟინრებს.

თბილისის წყალზე დამხმარე საბჭოს საპატიო თავმჯდომარეებად არჩეული არიან ამხ. მ. კალინინი და შ. ელიავა. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. კ. ოდილავაძე, მოადგილეებად ამხ. სპრინგველი და კ. ტარიელაშვილი.

თბილისის აღმასკომი ყოველგვარ დახმარებას უწევს საბჭოს წყალზე დახმარების საქმის განვითარებაში.

# შემთხვევები

## დაჯახება

ტრამვაის ვაგონი (№ 3) კომუნალურ ქუჩაზე დაეჯახა ალი მახმუდ-ოღლის ურემს, რომელიც დაიმსხვრა.

## ქურდობა

თამარა პროხოროვას თბილისის სადგურში მოპარეს ჩემოდანი 300 მანეთის ნივთებით,—აპოლონ ქუბაბრიას კარლ მარქსის მოედანზე ჯიბიდან ამოაცალეს 165 მანეთი.

## რეციდივისტის შეპყრობა

დაპატიმრებულია ქურდი-რეციდივისტი — სანდრო გრიგოლის ძე ივანოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ხურდები სხვადასხვა სანოვაგით.

## თვითმკვლელობის განზრახვა

ვარია კუზმის ასულმა პუზინამ განიზრახა თავის ჩამოხრჩობა, მაგრამ გადაარჩინეს.

## ჯიბგირობა

მარო გიორგის ასულს ყაჭეიშვილს ტრამვაის ვაგონში რედიკულიდან მოპარეს ფული. ბოროტმოქმედი ხიმ სიმონისძე თაფლიაშვილი დაპატიმრებულია.

## ქურდობა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში

კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს ფოსტა-ტელეგრაფის მერვე განყ. (რუსთაველის პროსპ. № 12), წაიღეს 2.000 მანეთის ობლიგაციები და ფულად 1600 მან.



რადიო სოფლად

სოფ. მარტყოფი. კოლმეურნეობის წევრი უსმენს რადიოს

# რკინის გზებზე

## რკინის გზელების სპეცტანსაცმელით მომარაგების საკითხი მოგვარებული არ არის

რკინის გზელების სპეცტანსაცმელებით უზრუნველყოფა ერთ მტკივნეულ საკითხად ითვლება ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე. რკინის გზელთა მასაში ამ საკითხის მოუწესრიგებლობა იწვევს უკმაყოფილებას და საყვედურებს გზის ადმინისტრაციის მიმართ.

აი მაგალითად, ახლა როდესაც ზამთარი უკვე დამდგარია, რკინის გზელები კიდევ არ არიან უზრუნველყოფილი სპეცტანსაცმელით და ალბად დიდხანს გაგრძელდება ასე, რადგან მხოლოდ ახლა იქნა გაცემული დაკვეთა ტანსაცმელზე.

გზის გამგეობა ამაში ბრალს სდებს ტანსაცმლის მიმწოდებელ ორგანიზაციებს, რომლებიც თავის დროზე არ ასრულებენ დაკვეთას.

მაგრამ ირკვევა, რომ თვით გზის გამგეობას არა ნაკლები ბრალი მიუძღვის ამ საკითხის მოუგვარებლობაში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის სხდომაზე, სადაც მოხსენებით რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფის შესახებ გამოვიდნენ გზის გამგეობის წევრი ამხ. ა. ლევაშოვი და საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ნ. ფსტიაშვილი გამოირკვა, რომ გზის გამგეობა თითქმის ყოველწლიურად არღვევს გენერალურ კოლექტიურ ხელშეკრულების მე-30 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს მუშა-მოსამსახურეებისათვის სპეცტანსაცმლის თავის დროზე დარიგებას.

მართალია ისიც, რომ ტანსაცმლის დამამზადებელი ორგანიზაციებიც არღვევენ პირობებს და არ ასრულებენ თავის დროზე მიღებულ ვალდებულებებს.

კერძოდ იმაში, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზელები ეხლამდე უზრუნველყოფილნი არიან საზამთრო სპეცტანსაცმელით, ბრალი მიუძღვის გზათა კომისარიატს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა რკინის გზელებისათვის სპეცტანსაცმლის მიწოდება თავისი აპარატის საშუალებით და შემდეგ უარი ეთქვა ამ განზრახვაზე.

თვით ადგილობრივი და პროფესიონალური და ადმინისტრატიული ორგანოები ვერ იჩენენ სათანადო თაოსნობას ამ საქმის მოგვარებაში და თავის დროზე არ ადგენენ სრულ მოთხოვნებს სპეცტანსაცმელზე.

გზის გამგეობას წინადადება მიეცა გამოძებნოს ყოველგვარი საშუალება იმისათვის, რომ რკინის გზელები უზრუნველყოფილ იქნენ თბილი სპეცტანსაცმელებით და ფეხსაცმელებით მთლიანად 15 დეკემბრამდე.

გზის გამგეობის მიერ კოლხელშეკრულების მე-30 მუხლის სისტემატიურად დარღვევისათვის დასმულია საკითხი საგზაო ინსპექციის წინაშე დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

## რკინის გზელების აღწერა

დღეს, ა. კ. რკინის გზებზე იწყება რკინის გზელების შერჩევითი აღწერა.

წინასწარ მოსამზადებელი და განმარტებითი მუშაობა დამთავრებულია.

აღწერის ჩასატარებლად გაგზავნილი არიან გზის სტატისტიკური განყოფილების ინსტრუქტორები.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სამეურნეო ერთეულების ადმინისტრაცია ნაკლებად ეხმარება აღწერას და არ იძლევა საჭირო ცნობებს. ასეთი შემთხვევები შემჩნეულია სტალინის სახელობის ქარხანაში და თბილისის დეპოში.

# შრომის ბირჟაში

## მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 30 ნოემბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

**შავ მუშათა სექციიდან:** შალვა კიკალიშვილი, სილოვან ჭარელი, ზაქარია მჭედლიშვილი, ნიკოლოზ შანშიაშვილი, სარქის პაპიანცი, პლატონ ცქიტიშვილი, ელისაბედ დაბრუნდაშვილი, არშაკ აშაჯევი, ნიკოლოზ ჩულკოვი, არტემ სირანაშვილი, პავლე ქამსპაშვილი, ალექსი გურგენოვი, კონსტანტინე ბესტაევი, გიგო ქისიაშვილი, მარიამ ჩილაჩავა, ნიკოლოზ ჯიოშვილი, გიორგი თალაკვაძე, ირაკლი თურქესტანიშვილი.

**მშენებელ მუშაკთა სექციიდან:** ალექსი ვახლიანი, არამ დანგლიანი, შალვა ჯულია, სერგო კაიტმაზოვი, გიორგი გოგუა, გალუსტ კარაპეტიანი, ენიკ მარტიროსოვი, აგასი კაზარიანი, ვახტანგ ლეიშვილი, შალვა მამინაშვილი, აბრამ კლეტუხინი, ნატალია მოროვა, ოვანეს მარტიროსიანი, გედეონ სიხარულიძე, სურენ დილანიანი, დიმიტრი მუხელიძე, კარაპეტ ბაღდასარიანი, აბრამ ნერსესოვი, რაჟდენ ნინავა, ივანე ლომინოვი, ლიდია სუსლოვა, ფ. თარგამაძე, ვანო თუთარავა, აშოტ მელქონიანი, გეორგ გეორქიანი, არამ გრიგორიანცი, ნიკოლოზ ფოგელი, ალექსი საკოვი და ნიკოლოზ პანოვი.

# ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის ტირაჟი

## მოგებათა ოფიციალური ცხრილი *)

| სერიების №№ | ობლიგ. №№ | მოგების თანხა | სერიების №№ | ობლიგ. №№ | მოგების თანხა | სერიების №№ | ობლიგ. №№ | მოგების თანხა | სერიების №№ | ობლიგ. №№ | მოგების თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 123539 | 1—50 | 100 | 123649 | 1—50 | 250 | 147674 | 1-50 | 100 | 147698 | 1-50 | 100 |
| 123780 | 1—50 | 100 | 124372 | 1—50 | 100 | 147712 | 1-50 | 100 | 147805 | 1-50 | 250 |
| 124800 | 1—50 | 100 | 125988 | 1—50 | 100 | 148169 | 48 | 1.000 | 148169 | 1-47 | 100 |
| 126383 | 1—50 | 100 | 126717 | 1—50 | 250 | 148169 | 49-50 | 100 | 148712 | 1-50 | 100 |
| 127658 | 1—50 | 250 | 127732 | 1—50 | 100 | 148770 | 1-50 | 100 | 149506 | 26 | 1.000 |
| 128270 | 1—50 | 100 | 128361 | 1—50 | 250 | 159506 | 1-25 | 100 | 159506 | 27-50 | 100 |
| 128736 | 1—50 | 100 | 129373 | 1—50 | 100 | 149859 | 1-50 | 100 | 150351 | 1-50 | 100 |
| 129381 | 1—50 | 250 | 129591 | 1—50 | [illegible] | 150387 | 25 | 1.000 | 150387 | 1-24 | 100 |
| 129855 | 1—50 | 100 | 129882 | 1—50 | 100 | 150387 | 26-50 | 100 | 150465 | 17 | 1.000 |
| 130377 | 1—50 | 100 | 130466 | 1—50 | 250 | 150465 | 1-16 | 100 | 150465 | 18-50 | 100 |
| 131078 | 1—50 | 100 | 131129 | 1—50 | 100 | 151041 | 1-50 | 100 | 151403 | 30 | 1.000 |
| 131175 | 50 | 1000 | 131175 | 1—49 | 100 | 151403 | 1-29 | 100 | 151403 | 31-50 | 100 |
| 131657 | 16 | 1000 | 131657 | 1—15 | 100 | 151428 | 1-50 | 100 | 151885 | 1-50 | 100 |
| 131657 | 17—50 | 100 | 131851 | 1—50 | 100 | 146255 | 1-19 | 100 | 146255 | 21-50 | 100 |
| 131907 | 35 | 5000 | 131907 | 1—34 | 100 | 146326 | 1-50 | 100 | 146751 | 1-50 | 100 |
| 131907 | 36—50 | 100 | 132134 | 1—50 | 100 | 146919 | 1-50 | 100 | 147674 | 1-50 | 100 |
| 132207 | 50 | 1000 | 132207 | 1—49 | 100 | 147698 | 1-50 | 100 | 147712 | 1-50 | 100 |
| 132559 | 26 | 10.000 | 132559 | 1—25 | 100 | 147805 | 1-50 | 250 | 148169 | 48 | 1.000 |
| 132559 | 27—50 | 100 | 132783 | 1—50 | 100 | 148169 | 1-47 | 100 | 148169 | 49-50 | 100 |
| 133193 | 1—50 | 250 | 133652 | 1—50 | 100 | 148712 | 1-50 | 100 | 148770 | 1-50 | 100 |
| 133846 | 1—50 | 100 | 134040 | 1—50 | 100 | 149506 | 26 | 1.000 | 159506 | 1-25 | 100 |
| 134880 | 04 | 1000 | 134880 | 1— 3 | 100 | 159506 | 27-50 | 100 | 149859 | 1-50 | 100 |
| 134880 | 5—50 | 100 | 135115 | 1—50 | 100 | 150351 | 1-50 | 100 | 150387 | 25 | 1.000 |
| 135180 | 1—50 | 100 | 136003 | 1—50 | 100 | 150387 | 1-24 | 100 | 150387 | 26-50 | 100 |
| 136147 | 1—50 | 100 | 136628 | 1—50 | 100 | 150465 | 17 | 1.000 | 150465 | 1-16 | 100 |
| 136813 | 1—50 | 100 | 136888 | 1—50 | 100 | 150465 | 18-50 | 100 | 151041 | 1-50 | 100 |
| 137788 | 19 | 1000 | 137788 | 1—18 | 100 | 151403 | 30 | 1.000 | 151403 | 1-29 | 100 |
| 137788 | 20—50 | 100 | 138597 | 22 | 1000 | 151403 | 31-50 | 100 | 151428 | 1-50 | 100 |
| 138597 | 1—21 | 100 | 138597 | 23—50 | 100 | 151885 | 1-50 | 100 | 152761 | 3 | 1000 |
| 138844 | 1—50 | 100 | 138868 | 1—50 | 100 | 152761 | 1-2 | 100 | 152761 | 4-50 | 100 |
| 139034 | 1-50 | 100 | 139240 | 1-30 | 100 | 153209 | 1-50 | 250 | 153229 | 1-50 | 100 |
| 139658 | 1-50 | 100 | 140160 | 1-50 | 100 | 153824 | 1-50 | 100 | 154286 | 23 | 1.000 |
| 140413 | 1-30 | 100 | 140501 | 1-50 | 250 | 154286 | 1-22 | 100 | 154286 | 24-50 | 100 |
| 140840 | 26 | 1.000 | 140840 | 1-25 | 100 | 154635 | 08 | 1.000 | 154635 | 1-7 | 100 |
| 140840 | 27-50 | 100 | 141010 | 1-50 | 100 | 154635 | 9-50 | 100 | 155328 | 39 | 1.000 |
| 141081 | 1-50 | 250 | 141845 | 29 | 1.000 | 155328 | 1-38 | 100 | 155328 | 40-50 | 100 |
| 141845 | 1-28 | 100 | 141845 | 30-50 | 100 | 155426 | 1-50 | 100 | 155635 | 1-50 | 100 |
| 149989 | 1-50 | 100 | 142474 | 1-50 | 100 | 155889 | 1-50 | 250 | 155968 | 1-50 | 100 |
| 142565 | 32 | 1.000 | 142565 | 1-31 | 100 | 156419 | 1-50 | 100 | 156528 | 44 | 1.000 |
| 142565 | 33-50 | 100 | 142990 | 1-30 | 100 | 156528 | 1-43 | 100 | 156528 | 45-50 | 100 |
| 142990 | 32-50 | 100 | 143101 | 1-50 | 100 | 156543 | 1-50 | 100 | 516656 | 1-50 | 100 |
| 143964 | 1-50 | 100 | 144829 | 1-50 | 100 | 156723 | 1-50 | 100 | 157290 | 35 | 1.000 |
| 145268 | 1-50 | 100 | 145505 | 1-50 | 100 | 157290 | 1-34 | 100 | 157290 | 36-50 | 100 |
| 145892 | 1-50 | 250 | 146048 | 1-50 | 100 | 159096 | 1-50 | 100 | 159335 | 1-50 | 100 |
| 146255 | 20 | 1.000 | 146255 | 1-19 | 100 | 159528 | 1-50 | 100 | 159918 | 1-50 | 100 |
| 146255 | 21-50 | 100 | 146326 | 1-50 | 100 | 045316 | 1-50 | 100 | 045425 | 1-50 | 100 |
| 146751 | 1-50 | 100 | 146919 | 1-50 | 100 | 045645 | 1-50 | 100 | 011970 | 1-50 | 100 |
| | | | | | | 044258 | 1-50 | 100 | | | |

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 275.

# იურიდიული რჩევა-დახმარება

**ვანო ქსოვრელს**

**კითხვა:**

მყავს დედ-მამა და ძმა. დედ-მამა და მე ცოლით ვცხოვრობთ სოფ. ჩოჩეთში. ჩემი ძმა 9 წელიწადია მსახურობს რკინისგზაზე შულავერში და იქ აქვს საკუთარი მეურნეობა. ერთხელ უკვე გაგვიყარებით და ჩემმა ძმამ წაიღო მიწები და სხვა ქონება იმაზე მეტი, რაც ერგებოდა, დედ-მამას სურს მთელი ქონება გადასცეს ჩემს ძმას და ამის გამო მე და ჩემს ცოლს გვაგდებენ ოჯახიდან. გთხოვთ განმარტებას: აქვს თუ არა დედ-მამას უფლება გამომაგდოს ოჯახიდან ისე, რომ არაფერი მომცენ, და ერგება თუ არა ჩემს ძმას წილი ასეთ პირობებში?

**პასუხი:**

თუ თქვენა და თქვენი მეუღლე ხართ თქვენ დედ-მამასთან ერთად ერთი კომლის წევრი, თქვენ დედ-მამას არა აქვს უფლება გამოგაგდოთ კომლიდან, რადგან თქვენცა და თქვენ ცოლსაც ისეთივე უფლება გაქვთ კომლის ქონებაზე და მიწებზე, როგორც თქვენს დედმამას.

თუ თქვენი ძმა გამოყოფილია, კომლთან გაწყვეტილი აქვს კავშირი და ამჟამად არ ითვლება თქვენი კომლის წევრად, არც დედ-მამას აქვს უფლება მისცეს მას რამე კომლის ქონებიდან და არც მას შეუძლია მოითხოვოს წილი კომლის ქონებიდან.

**დ. მუმლაძეს**

**კითხვა:**

კოოპერატივის ვალში ამიწერეს ცხენი. საქმე ჯერაც არ არის დამთავრებული და 13 თვის განმავლობაში ცხენის კვება მე მიხდება. გთხოვთ მიპასუხოთ მერგება თუ არა ცხენის საკვები?

**პასუხი:**

ცხენის აღწერა იმას ნიშნავს, რომ მაძიებლის ვალი უზრუნველყოფილია, თქვენ უფლება არა გაქვთ ცხენი გაჰყიდოთ, სხვა მხრივ თქვენი უფლება ცხენზე არაფრით არ არის შეზღუდული: შეგიძლიათ ისევ ისარგებლოთ ცხენით, როგორც მის აღწერამდის. აქედან ცხადია, რომ ცხენის კვებაც თქვენი მოვალეობაა და სხვისგან მის საკვებს ვერ მოითხოვთ.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს სრულ ექვს საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში (თავისუფლების მოედანი) შესდგება **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტის გაფართოებული პლენუმი,** სარევიზიო კომისიის წევრებთან, უჯრედების მდივნებთან, აგიტპროპორგანიზატორებთან და ბიუროს წევრებთან, ფაბქარხადგილკომების ფრაქციებთან და პარტგანათლების ქსელის ყველა საფეხურის პოლიტსკოლების ხელმძღვანელებთან ერთად.

**დღის წესრიგი:**

1) კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის შესახებ.

2) პარტგანათლების ქსელის გასაშლელად ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის წინასწარი შედეგები.

რაიონული კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ **მეტონიძე.**

—

30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სოფლად მუშაობის განყოფილება იწვევს თათბირს. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება:

ჟუხალეიშვილი (საბჭოთა მეურნეობების ტრესტი), ჯულელი ან. ქაჯარავა (მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი), სიხარულიძე (მიწა-ტყის მუშათა კავშირი), გოგოლაძე (მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი), რასულზადე (საქ. მუშ. და გლ. ინსპექცია), სარუხანოვი (საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისია), ჩახვაძე (მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სამიწადმოქმედო-საგეგმო სამმართველო), დმიტრიევი ან პრიხოდკო (საზ. „საქართველოს ჩაი"), გიგინეიშვილი (მებამბეობის კომიტეტი), ელენტი (საქკ. საზ. „კენაფი"), გვარამია (სოფლის კავშირი), მანჯგალაძე (საქ. აბრეშუმი), მიქაელიანი (საქ. ს. მ. უ. საბჭო).

შაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება თათბირი საქართველოს ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის გამოკვლევის საკითხების შესახებ. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

მაისურაძე—ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტი, მურადოვი—ა. ლ. კ. კ. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი, ბახტაძე—საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტი, ბაიანდუროვი—დამხლეევი სალარო, ჯალილოვი—ა. ლ. კ. კ. 26 კომუნარის სახელობის რაიონული კომიტეტი, მესხიძე—ა. ლ. კ. კ. თბილისის საოლქო კომიტეტი, ლაბარტყავა — ა. ლ. კ. კ. გარეუბნის რაიონული კომიტეტი, კისელიოვი—„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივანი კოლოაძე—მუშკოოპი, ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივანი, ბახუტაშვილი—მაკარონის ფაბრიკა, მუშა, გიორგობიანი—ტრამვაი, ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივანი, გორელაშვილი—ტრამვაი, მუშა, ცქიტიშვილი—სარეწაო კოოპერაცია, ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივანი, ჩხეიძე—სარემონტო ქარხანა, მუშა, გორგიჯანოვი— ფეხსაცმელების კოლექტივი ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივანი, დემეტრიშვილი, აკოფოვი—საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირი, ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივანი, სოფრონოვი, შონია.

— : —

**სახ. უნ-ტის პედ. ფაკ. კომუჯრედის ბიურო** აცხადებს, რომ დღეს საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია ამავე ფაკულტეტის პარტიის და ამკავშირის უჯრედთა გაერთიანებული ღია კრება, დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

—:—

**თბ. სახ. უნ. ა. ლ კ. კ. № 5 უჯრედის** კრება შესდგება დღის საღამოს სრულ 5 საათზე უნივერსიტეტის მთავარ შენობაში. დღის წესრიგში იქნება ბიუროს საანგარიშო მოხსენება.

—:—

**სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი** აცხადებს, რომ დღეს საღამოს 6 საათზე შესდგება № 6 უჯრედის საერთო კრება.

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა პელაგია, რძალი ელიჩქა და ძმა გრიშა სარჯველაძეები, დები: ელენა თურნავასი, ანეტა იმხაძისა და ფედოსი ფირცხალაიშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ-მეგობრებს, რომ კვირას 1 დეკემბერს ნაშუადღევს 3 საათზე ლანჩხუთში ეწრის და გომბალაურის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მენშევიკ ჯალათების მიერ 1919 წ. 28 ნოემბერს, დახვრეტილ დაუვიწყარ რევოლიუციონერ

## ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 4—4

ცრემლ-შეუშრობელი ბებია ფატი, ბიძები—აქვ ენტი, კონდრატი, ბიცოლები: ნინა, თებრონე და კასინე მახარაძენი შვილებით, დეიდები ბარბალე მახარაძე, სიდონია კობალაძისა, ქიონია ბარამიძისა, მარია ასკურავასი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას, 1 დეკემბერს, ლანჩხუთში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ რევოლიუციონერის

## ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2—2

სიდონია და სანდრო კობალაძეები შვილებით კაკუნიათი და ბარდღუნიათი აუწყებს ნაცნობ მეგობრებს, რომ კვირას, 1 დეკემბერს, ლანჩხუთში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 1919 წელს მენშევიკ-ჯალათების მიერ დახვრეტილ დაუვიწყარ რევოლიუციონერ-ბოლშევიკ

## ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2—2

შრომის სააღმშენებლო არტელის „მარდის" ცენტრალური გამგეობა იუწყება, რომ კვირას, 1 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ლანჩხუთში ეწრის და გომბალაურის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მენშევიკ-ჯალათების მიერ 1919 წელს 28 ნოემბერს დახვრეტილ რევოლიუციონერ-ბოლშევიკ

## ილარიონ ბებურის-ძე სარჯველაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2—2

ღრმად დამწუხრებული და ნინო თედორეს ასული, სიძე კონსტანტინე ივანეს-ძე შალამბერიძეები შვილებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ

## მარო (ცუცა) თედორეს ას. ხუჯაძე-ბოჭორიშვილის

უდროოდ დაკარგვას. 4490

უზომოთ მწუხარე სოსო მაყაშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ოთხშაბათს 27 ნოემბერს გარდაიცვალა მისი საყვარელი, ერთად-ერთი შვილი

## თამარა კანდელაკისა

გამოსვენება დღეს, 30 ნოემბერს, ბინიდან წყნეთის ქ. № 20, ვერის ახალ სასაფლაოზე. 4496

ნადია და იოსებ ქუთათელაძენი შვილებით, ივანე ქუთათელაძე ცოლით და შვილებით და ცუცუ ლორთქიფანიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას და საყვარელ

## თამარ მაყაშვილი-კანდელაკის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს, 30 ნოემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება 4 საათზე ბინიდან (წყნეთის ქუჩა № 20. 4497

გოგი ქუთათელაძე ღრმა მწუხარებით იუწყება საყვარელ და ძვირფას

## თამარა მაყაშვილი-კანდელაკის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს, 30 ნოემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება 4 საათზე, ბინიდან წყნეთის ქუჩა № 20. 4497

თინა და ზურაბ ელიავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელ და ძვირფას

## თამარა მაყაშვილი-კანდელაკის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს, 30 ნოემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება 4 საათზე ბინიდან წყნეთის ქუჩა № 20. 4497

შალვა კანდელაკი, ანა კანდელაკისა, მარიამ და ვიტოლი დეკაპრილევიჩები, ავთანდილ და მარიამ, ბიძინა და მელიტა კანდელაკები აუწყებენ საზოგადოებას პირველი ცოლის და დანარჩენი საყვარელ რძლის

## თამარა მაყაშვილი-კანდელაკის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან წყნეთის ქ., № 20, ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს, 30 ნოემბერს, 4 საათზე. 4495

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ვარდენი და საშა კაკაბაძეები, ბებიები: ეკატერინა და მაშო, დეიდა ოლია და ბიძა ჟორჟიკა ბარამიძეები, ვლადიმერი, არტემი და ვარლამი კაკაბაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ-მეგობრებთ პატარა

## გურამის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება ბინიდან (მუხრანისა და ბაგრატიონის ქ. კუთხე № 23), შაბათს, 30 ნოემბერს ნაშუადღევის 4 საათზე. (დ)

ამხ. ვარდენ კაკაბაძის უახლოესი მეგობრები: მურავიოვი შალვა, ალაშია გრიშა (ძმები), ხახაშვილი ვანო, შონია საშა, მინაძე აკაკი, დათეშიძე ალექსანდრე, ქვარიანი დავით, პაპალაშვილი დავით, ავეტიკიანი ბორისი, ხარებავა პატულია, ხუბუა ალექსანდრე, გოგიშვილი სიკო ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი მეგობრის საყვარელი შვილის

## გურამის

უდროოდ გარდაცვალებას. (დ)

უახლოესი მეგობრები ბენო ჩიხლაძე და კოტე ბერიშვილი მწუხარებით იუწყებიან ამხ. ვარდენ კაკაბაძის

## პატარა გურამის

გარდაცვალებას. 4504

უახლოესი მეგობრები ბენია ელენტი, ა. თენეიშვილი, თ. შავიშვილი და ბიძაშვილი ს. კაკაბაძე თავიანთ ოჯახებით აუწყებენ საზოგადოებას ამხ. ვ. კაკაბაძის ვაჟის

## პაწია გურამის

გარდაცვალებას. 4505

დამწუხრებული მეუღლე ნინო, შვილები: შაქრო, მარო და სიმონი; და ეკატერინე, რძლები: ოლა და ირინე, სიძე დავით ბაილიძე და შვილიშვილები იუწყებიან, რომ ა. წ. 1 დეკემბერს, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი

## გიორგი სიმონის-ძე მელაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. სოფ. მეჯვრისხევში. 4493

მწუხარებაში მყოფი მეუღლე ანა წილოსანისა და ანა და სიძე სიო ელენტი შვილებით იუწყებიან, რომ კვირას, 1 დეკემბერს, 3 საათზე ავლაბრის სასაფლაოზე (რკინის გზის გადაღმა) დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ

## ივანე როსტომის-ძე წილოსანის

ხსოვნის აღსანიშნავად. 4509

დამწუხრებული დედა ფუცუ, ძმა ტარიელი, რძალი ელენე და ძმისშვილი თინა ხოშტარიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ კვირას, 1 დეკემბერს, 1 საათზე, გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე

## შურა ხოშტარიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 4510

დამწუხრებულნი მეუღლე აგაფინა დავითის ასული, შვილები: ვლადიმერ, ნინა, ლოლა, სონა, რძალი ნადეჟდა, სიძე ივანე გეჯაძე, შვილიშვილები: ლილი, ირაკლი და დოდოშკა გულითადის მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 28 ნოემბერს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი

## თედო იოსების-ძე მერაბიშვილი

გამოსვენება ქალაქის 1-ლ საავადმყ. (ყოფ. არამიანცის პროზექტურიდან დღეს, დილის 12 საათზე. დაკრძალვა ქ. დუშეთში. 4511

დამწუხრებული მეუღლე ესმა, შვილები: მალიკო, ალიოშა, კატო, რძლები: მაგრა, ანიკო, ნინა, სიძე შალიკო ორჯონიკიძე, ძმები გიგო და ილია შვილებით და ლისიმე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 28 ნოემბერს უეცრად გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი და დაუვიწყარი

## ნოშრევან ალექსანდრეს-ძე ზუმბულიძე

დასაფლავება კვირას, 1 დეკემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ექ. ა. ზუმბულიძის ბინიდან—ორბელიანის ქუჩა, № 36. ნაშუადღევის 3 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 6 საათზე. 4508

---


ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი

შაბათი, 30 ნოემბ. აბონ. გარეშე, ნ. კ. პეჩკოვსკის უკანასკნელი გამოსვლა I ჟამბაზე ი, II კონცერტი

კვირა, 1 დეკემბერი, მე-9 აბონემ. 1-ლი წარმ. მ. პ. მაქსაკოვას მონაწილეობით სამსონ და დალილა (შედის მხოლოდ 9, 11, 12 აბონემ. ციკლში)

ყველა საბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია ხელზე გასასყიდათ. შეღავათიან ტალონებზე შესატანების მიიღება დროებით იწარმოებს მხოლოდ დღის 10—12 საათ. მორიგი შესატანის მიღება ყველა აბონემენტზე და მუშებისათვის 9, 11 და 12 აბონ. მიცემა სწარმოებს ყოველდღე 10-2 ს. და საღ. 6-8 ს.

ნ. 3435

თბილისის ცირკი

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—94.

დღეს, შაბათს, 30 ნოემბერს

სადებიუტო წარმოდგენები 3 განყოფილებად განახლებული პროგრამა

პირველად თბილისში. უცხოელი არტისტის

პ. რაჩინის

პირველი დებიუტი.

საჰაერო ევოლიუცია.

დუო ბეჟქოროვაინიების პირველი დებიუტი.

პროგრამაშია საცირკე ჟანრის კიდევ 12 ნომერი

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე დირექცია.

ნ. 3408 2—1

რუსთაველის თეატრი

სეზონი 1929-1930 წ.

ნ. 3433

შაბათს, 30 ნოემბერს,

კავშირებისათვის

პ. იალცევი

ღვარძლი

დრ. 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის.

დადგმა—ალ. ახმეტელის და ქ. პატარიძის

მხატვარი—ნ. პელიონკინი

მუს. ნაწ. გამგე—გრ. კილაძე

დასაწყისი სრულ 8 საათზე

თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი — ალ. ახმეტელი.

დარჩენილი ბილეთები კავშირის წევრთათვის 40 პროც. დაკლებით, სტუდენტებისათვის - 50 კაპ.

კინო-დარბაზი

ორშაბათიდან, 2 დეკემბრიდან

ცნობილი არტისტის

ა. ი. ზეიფეცის

გასტროლები.

ცოცხალი საანგარიშო მანქანა.

ფენომენალური მეხსიერების მქონე ადამიანი.

აპოლო — ლია დე პუტი და ვერნერ კრაუსი ახალ სურათში ეჟვიანობა

სოლეი — „ნერო ფილმ"-ის მხატვრული სურათი ლოუ-ლოუ ლუიზა ბრუკსის მონაწილეობით.

მინიონი — ნორმა ტოლმეჯი სურათში სამი გამოცდა

პალასი — ყოველდღე ანშლაგები იმპერიის ნამსხვრევი

არფასტო — სეზონის საუკეთესო ფილმი ნანუკ

დარბაზი — პატი ზღვაში ლავროვების გასტროლები

მალე: „კაენი და არტემი"

0—24

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მმართველობა

აცხადებს, რომ ყოველგვარი ექსკურსიები ფაბრიკაში შეწყვეტილია

ამისათვის საგანგებო განკარგულების გამოცემამდე.

4491 ფაბრიკის დირექტორი მეშველიანი.



## ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

**პ. ს. ფონ-ირტელი** პლეხანოვის პროსპ. № 10 – სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე. 13—3

**ი. პ. მჭედლიშვილი** შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყოფ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15—02. 25—13

**ა. ვ. მიქაბერიძე** პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—14

**გ. გ. შახნაზაროვი** სპეციალურად სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

**ტერ-ოვაკიმოვი** სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 9 ნახ. 11 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—2

**ს. ანდრეევა** შინაგან ავადმყ. სპეც. სახსრების და ჯირკვლების დაავადება (ტუბერკულოზი), საღ. 6—7 ს. ელბაქიძის დაღმართი 29, (ცირკის პირდაპირ) ტელ. 11—78.

**მ. ორლოვსკაია** თვალის ოპერაციები და სათვალეების შერჩევა. ღებულობს დილის 9-დან 12 საათამდე და საღამოს 5-დან 7 საათამდე. ამოს (ყოფ. ქსენიას) ქუჩა, № 9. 25—5

**ი. ი. ჭეიშვილი** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი იღებს: დილ. 8 - 9 საათ., საღ. 6 - 8 საათ., ნაშუად. 4—5 ს. მხოლოდ ქალ ბს. მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის) ქუჩა. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პირდაპირ. 25 4

**გ. ე. ფხალაძე** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება დილით: 7—8 საათ. საღ. 6—8, 5—6 ქალების. მარტის ქ. № 6 (ყ. ბოგუსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან. 25—4

**კ. ი. ჯალალოვი** ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90 25—3

ქუთაისი **თ. ვ. აკოფაშვილი** შინაგანი სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა ბროსეს ქ., № 7 (მე-3 საბჭოთა აფთიაქის გვერდზე).

**ალ. მაღალაშვილი** ბავშვების ექიმი, საღამოს 5—7 საათამდის, კორლანოვის ქუჩა № 12. 25—1

**ა. დ. კეკელია** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება. პლეხანოვის პროსპ. № 115. კინოთეატრ „სოც"-ის პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. —12—67.

**ა. ვადაჭკორია** ქალთა ავადმყოფობანი დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 25—1

**მალაევი** თვალის ექიმი ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) 47. ტელ. 5—90.

**ი. ვ. ხანდამოვი** სპეციალურად მკურნალობს სიფილისს, კანის და ვენერიულ ავადმყოფობას. მიღება დილის 2 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქუჩა, № 35, (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

**ი. დ. თოფურიძე** იღებს ავადმყოფებს კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. სიფილისი, კანის და ვენერიული (სუსუნატით გამოწვეული გართულებები). დილის 7 საათიდან 8 საათამდე. დღით ქალები და ბავშვები 3—5 საათამდის, მამაკაცები 5—8 საათამდის. 25—1

**ი. გაბიჩვაძე** ავადმყოფების მიღება სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებანი. ქალის გონორეა. მიღება 8 საათიდან 10-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე. ლეხანოვის პრ. 65. 25—4

**ნ. გ. გეგეჭკორი** შინაგანი სნეულებანი; სპეციალ. ფილტვების დაავადებანი. ავადმყოფების მიღება 6 7 საათამდე. პეროვსკის ქუჩა (ყოფ. ანასტასიევის) 7. ტელეფონი 20—33.

**პ. ტყეშელაშვილი** სიფილ. ვენერიული და კანის სნეულებანი. ბელგიის ქ. № 1, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს ახლოს, დილით 8—9, საღამოთი 6—8. 25—7

**ი. გ. ხარებავა-გაჭრაძე** კბილის ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები. სნეულ კბილების ამოღება უმტკივნეულოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117. 25—7

**ნ. კონსტოროვიჩი** თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილინის ქ. № 1. აღმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელის, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—12

**დ. ს. რიჟინაშვილი** კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის პრ. კუთხე. ტელ. 10—14. 25—1

**ი. ი. ბერიშვილი** ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

**ლოგოპედი ა. ა. კაიშაური** ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—12

**გ. ნ. ონანოვი** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 13—8

**ა. გ. სოლოღაშვილი** კბილების მკურნალობა — რუსთაველის პრ. № 12. 25—1

**დ. ე. პაპიტაშვილი** შინაგანი სნეულებანი, სპეც. კუჭ-ნაწლავების და ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე 5—7 საათამდე. ... ლოვის ქ. № 8. 25—5

**მ. ო. ზანდუკელი** შინაგან და ნერვიულ სნეულებათა ელექტროსინათ. სამკურნალო კაბინეტი. იღებს საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11. ტელ. 4 82. 25—15

**თოდაძე** სპეციალ. ქირურგია და უროლოგია თირკმელების, ბუშტის და სასქესო ორგანოების დაავადებანი. ბელგიის ქ. № 1. 4—5 საათამდე. 25—20

**ზესტაფონი კ. ს. ანანოვი** სიფილისი (შეშხაპუნება 914) ვენერიული (სუსუნატი და მისი შედეგები) და კანის სნეულ. მიღება: 1—2 დღით, საღამოს 6—8 ს. თებერვლის ქ. 130. 25 12


## ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— მუშ. კოოპის, საწევრო წიგნაკი № 10088 დავით ლობჟანიძის სახ. 4489
— კოოპერატივის წიგნაკი № 51354 თამარ აბრამიშვილის სახელზე. 4492
— „ზაკტპოს" წიგნაკი და შეშის გამოსატანი ორდერი ელიზბარ გაბელიძეს სახელზე. 4495
— მთავარ ტელეგრაფის საშეფო საზოგადოების ბიუროს სახელზე გაცემული ფულის საბუთები, ხელწერილები და ქვითარები სულ 72 მან. რაოდენობის. 4494
— პირადობის მოწმობა ირაკლი უხურგუნაშვილის სახელზე. 4498
— კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 49761 ნატალია სიმონის ასული ვაშალომიძე-გიორგაძეს სახელზე. 4499
— სახელმწიფო უნივერს. მიერ გაცემული პირადობის მოწმობა № 359 მარგარიტა კონსტანტინეს ასული მაჰავარიანის სახელზე. 4500
— მეორე სესხის ობლიგაციის კუპონი № 067786 ექვთიმე ორჯონიკიძის სახელზე. 1501
— კავშირის წიგნაკი № 97527 მიხეილ კიკალიშვილის სახელზე. 4502
— სამხ. ბეგარისაგან განთავისუფლების მოწმობა ანტონ ათანასის-ძე ჩაგუნავას სახელზე. 4503
— სამხ. საალრიცხვო ბარათი № 16 მიხეილ ესტატეს-ძე სურმავას სახ. 4503
— წიგნაკი № 956928, მოცემული სენაკის რკ. გზ. კოოპერატივის მიერ, იოსებ ნიკოს-ძე ნუცუბიძეს სახელზე. 4503


გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა

ამით აცხადებს ქუთაისის ოლქის ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომ ა-წ. 20 ნოემბრიდან

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას გადაეცა მონოპოლიური უფლება

გაზ. „კომუნისტი"-ს გავრცელებაზე აღნიშნულ ოლქში, გარდა ჭიათურის, ზესტაფონის და სამტრედიის რაიონებისა.

გაზეთ „კომუნისტ"-ზე ხელისმოწერა მიიღება ქალ. ქუთაისში გაზეთ „კომუნისტი"-ს კანტორის განყოფილების შენობაში (როზა ლიუქსემბურგის ქ № 64) და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში და წერილების დამტარებლებთან.

„კომუნისტი"-ს გამომცემლობა და ფოსტა-ტელეგრ. საგაზეთო ბიურო.

0—1

მიხა ცხაკაიას სახელობის

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახელმწიფო ინსტიტუტი

(ლენინის ქ. № 49)

მკურნალობის ყოველგვარი ფიზიკური მეთოდები: ელექტრონი, ტალახით, წყლით, სინათლით მკურნალობა, მექანოთერაპია, რენტგენო-რადიოთერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა.

მკურნალობა ამბულატორული და სტაციონარული.

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე კვირა-უქმე დღეების გარდა დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

შინაგანი (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების ავადმყოფობანი, რევმატიული დაავადებანი და სხვ.), ნერვიული და ქალთა ავადმყოფობანი.

ავადმყოფების ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.

ფასიან ავადმყოფების მიღება. მკურნალობის პირობების შესახებ ცნობების გაცემა ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15 48. 25—22 ნ. 3363


ტირაჟი—42.825

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904